აჭარა

გამოცემის 101-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№14 (24.894) შაბათი, 19 - 21 თებერვალი, 2022 წ. 50 თეთრი

ბულვარში უკანონო შენობა-ნაგებობების დემონტაჟი დაიწყო

ბათუმის მერიის შესაბამისმა სამსახურებმა ბულვარის ცენტრალურ შესასვლელში, ზღვის სანაპიროსთან ახლოს მდებარე, „პიერ ბათუმის“ სახელით ცნობილი შენობა-ნაგებობების დემონტაჟი დაიწყო. ადნიშნული პლაჟი 2010 წელს თურქულ კომპანია „ბატტუნს“ გრძელვადიანი იჯარით გადაეცა, რომელმაც ბულვარის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობები უკანონოდ განათავსა. აქ იყო კაფეები, ბარები, რესტორნები და მაღაზიები, რომლებიც სეზონურად მუშაობდა.

მოიჯარესა და ბათუმის მერიას შორის დავა ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ დაიწყო. ბათუმის მერიაში აცხადებენ, რომ კერძო კომპანია არაერთხელ გააფრთხილეს, დააჯარიმეს კიდეც, თუმცა მოიჯარე დემონტაჟზე უარს ამბობდა. ამიტომ, 2015 წელს სასამართლოს მიმართეს და ყველა ინსტანციამ მერიის პოზიცია გაიზიარა.

მერიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ: „შესაბამისი სამსახურების მხრიდან არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, კომპანიამ უარი განაცხადა განეხორციელებინა უკანონო შენობის დემონტაჟი. სამართლებრივი დავა დემონტაჟთან დაკავშირებით წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. ბათუმის მერიის მიერ გატარდა ყველა შესაბამისი ღონისძიება და დაიწყო უკანონოდ განთავსებული ნაგებობების დემონტაჟი. ბულვარი წარმოადგენს ბათუმის მთავარ სავიზიტო ბარათს. ბულვარის გენგეგმაზე მუშაობა დასკვნით ეტაპზეა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ბულვარში განთავსებული შენობების დასაშვები სახეობები და განთავსების ძირითადი პრინციპები“.

- ამ ობიექტის მოიჯარე ვარ უკვე მეექვსე წელია, - ამბობს რამაზ ცეცხლაძე, - დოკუმენტიც კი არ მომსვლია, რომ უნდა დაიშალოს. დღეს მოვიდნენ და სიურპრიზი გამიკეთეს. 160 ადამიანი მყავს დასაქმებული, 160 ოჯახი რჩება უმუშევარი.

სხვა მეიჯარეებიც, რომლებსაც თავისი ფართიდან ნივთები გამოჰქონდათ, აცხადებდნენ, რომ ნგრევასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ ჰქონდათ.

„პიერ ბათუმთან“ მივიდნენ სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის აქტივისტები. ისინი მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომლებისგან მოითხოვდნენ პასუხს, რატომ არ ანგრევს მერია უკანონოდ აშენებულ სხვა შენობებს.

გენერალური გეგმის პროექტით, რომელზეც 3 წლის განმავლობაში მუშაობდნენ ბულვარის ადმინისტრაციის მიერ მოწვეული ექსპერტები, ერთ-ერთ შეუსაბამო შენობად მიჩნეულია მრავალსართულიანი სასტუმრო „ამბასადორი“. მისი მშენებლობის ნებართვა „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დროს გაიცა. ბათუმის მერიაში არ პასუხობენ შეკითხვას, შესაძლებელია თუ არა დემონტაჟი შეეხოს „ამბასადორსაც“. ბათუმის საკრებულოს წევრი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ რეზო ხარაზი ამბობს, რომ უკანონო მშენებლობების დემონტაჟის მომხრეა, მით უმეტეს, თუ ის უსახურია, მაგრამ ეს უნდა მოხდეს სამართლიანად და არა მერიის ინტერესებიდან გამომდინარე.

ანკა ჩხიკვაძე

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მსოფლიო ლიდერებთან ერთად, მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც 18-20 თებერვალს გაიმართება. დაგეგმილია საქართველოს პრემიერ-მინისტრის მაღალი დონის ორმხრივი შეხვედრები როგორც პოლიტიკურ დონეზე, ისე ბიზნესწრეების წარმომადგენლებთან. მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენცია მსოფლიოს წამყვანი ფორუმია საერთაშორისო უსაფრთხოების პოლიტიკის განსახილველად.

* * *

ორბელიანების სასახლეში ეროვნულ თანხმობაზე მსჯელობა მუსიკოსების, მხატვრების, დიზაინერების, რეჟისორების, მწერლების, პროფესორ-მასწავლებლებისა და ბიზნესმენების მონაწილეობით გაიმართა. „ჩვენი მიზანი არ არის გავარჩიოთ, რომელი პარტია ან რომელი მთავრობაა კარგი, თუ უკეთესი. ჩვენი მთავარი მიზანია აღმოვაჩინოთ პრობლემები და ის მთავარი თემები, რომლებიც დღეს გვაბრკოლებს და ამ ქვეყანას წინ წასვლის საშუალებას არ აძლევს“, - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა. მისი თქმით, ზაფხულისათვის უნდა შემუშავდეს დოკუმენტი და ჩამოყალიბდეს პოლიტიკური პარტიების მიმართ საზოგადოების დაკვეთა.

* * *

ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საქართველოსთვის კვლავ პრობლემურია, - ასეთია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ 2021 წლის მუნიციპალურ არჩევნებზე დაკვირვების შედეგი. ორგანიზაციის განმარტებით, გამოწვევებს შორისაა საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებზე პოლიტიკური ნიშნით ზეწოლის, სამსახურიდან გათავისუფლებისა და ოპოზიციური პარტიების კანდიდატების შევიწროების სავარაუდო შემთხვევების არაეფექტიანი გამოძიება; საარჩევნო კომისიებისა და სასამართლოების პოლიტიზების მაღალი ხარისხი; საჯარო სამსახურების პოლიტიზება და მმართველი პარტიის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთა საარჩევნო კამპანიაში მასშტაბური ჩართვა.

* * *

საბაჟო გამშვებ პუნქტებში „თბილისის აეროპორტი“ და „ბათუმის აეროპორტი“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, ყაზახეთისა და თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეების კუთვნილი ხელბარგის დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული თანხა, 46 300 დოლარი და 113 500 არაბთა გაერთიანებული საამიროების დირჰამი გამოავლინეს. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, კანონდამრღვევ მოქალაქეებს, სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა (არადეკლარირებული თანხის 10 %-ის ოდენობით) 23 162,1 ლარი შეეფარდათ.

ზურაბ აბაშიძე: შერიგება საკმაოდ რთული პროცესი იქნება, მაგრამ სხვა გზა, უბრალოდ, არ არსებობს

3

საპენსიო სესხს ზედა ზღვარი დაუწესდა

4

საუკუნოვანი ტრადიციების მქონე მომავლის სკოლა

5

«მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს იმ რთული გზის შესახებ, რომელიც ჩვენ გამოვიარეთ»

6

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

იაპონიის საელჩოს პირველი მდივანი – აჭარის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროში

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სამუშაო ვიზიტით ეწვია საქართველოში იაპონიის საელჩოს პირველი მდივანი ტაკაო იმანიში.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო იაპონიის ტოკუშიმას რეგიონსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებს ისეთ სფეროებში როგორიცაა: სპორტის პარაოლიმპიურ სახეობებში გაცვლითი შეჯიბრებების ჩატარება, ტოკუშიმას სიკოკუს უნივერსიტეტთან თანამშრომლობის დამყარება და აჭარის ერთ-ერთ სკოლაში იაპონური ენის სწავლების დანერგვა.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს ტოკუშიმას რეგიონში ქართველი სპორტსმენების ვიზიტმა ახალი ბიძგი მისცა საქართველოსა და იაპონიის ურთიერთობების გაღრმავებას კონკრეტულ სფეროებში, მათ შორის ადგილობრივი მმართველობების გაცვლითი პროექტების გაძლიერებას.

სამუშაო ადგილზე საავადმყოფო ფურცლის ნაცვლად შესაძლებელია სწრაფი ან PCR ტესტის დადებითი პასუხის წარდგენა

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

COVID-19-ით ინფიცირებულმა პაციენტებმა, რომლებსაც არ დასჭირდათ ხანგრძლივი სამედიცინო მეთვალყურეობა და მათი იზოლაციის ვადა შემოიფარგლა 7-8 დღით, სამუშაო ადგილზე საავადმყოფო ფურცლის ნაცვლად შესაძლებელია წარადგინონ სწრაფი ან PCR ტესტის დადებითი პასუხი. აღნიშნული ცნობის მიღება პაციენტს შეუძლია ლაბორატორიული სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებაში (სადაც ჩატარდა ტესტირება), ცნობის ამობეჭდვა, ასევე, შესაძლებელია Georgia E-health აპლიკაციიდანაც.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნული ცნობის წარდგენის შემთხვევაში, მიმდინარე წლის 4 თებერვლამდე ინფიცირებული პირებისთვის, შრომისუუნარობის ვადად 8 კალენდარული დღე ითვლება, 4 თებერვლის შემდეგ კი - 7.

გამონაკლისს წარმოადგენენ სტრატეგიული დანიშნულების დაწესებულებების (სამედიცინო და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, თავდაცვისა, ფინანსთა სამინისტროები და მათი სისტემები, პროკურატურა, უსაფრთხოების სამსახური) თანამშრომლები, ტესტის დადებითი პასუხის წარდგენის შემთხვევაში მათთვის შრომისუუნარობის ვადა განისაზღვრება კარანტინისა და იზოლაციის ახალი წესების მიხედვით, ამასთან, არ აღემატება 7 კალენდარულ დღეს.

ცვლილება უკვე ამოქმედდა და ნებისმიერ, კერძო თუ საჯარო სექტორში დასაქმებულ პირს ეხება.

საკადრო ცვლილებები - შუახევის მუნიციპალიტეტში

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში საკადრო ცვლილებები დაიწყო. წლების განმავლობაში წყალსაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში შუახევის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი (თემის ხელმძღვანელი) მიხეილ ტაკიძე იყო. ახლა ამ თანამდებობაზე სულიკო ბოლქვაძე დაინიშნა. იგი შუახევის მუნიციპალიტეტის წინა მოწვევის საკრებულოში წყალსაყრის თემიდან მაჟორიტარი დეპუტატი და საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე იყო.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლად ინფრასტრუქტურის საკითხებში წყალსაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში, ხელშეკრულების საფუძველზე მიხეილ ტაკიძე იმუშავებს.

წლების განმავლობაში შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ამირან ხიმშიაშვილი იყო. მას საპენსიო ასაკი შეუსრულდა. იგი საკრებულოს აპარატში სხვა პოზიციაზე აგრძელებს მუშაობას. საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად საკრებულოს იურიდიული განყოფილების გამგე ზორბეგ ქარცივაძე დაინიშნა. მალე ამ თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი გამოცხადდება.

საკადრო ცვლილებები შუახევის მუნიციპალიტეტში კიდევ იგეგმება.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სოიოს გადამამუშავებელი საწარმო შპს „ჯეოსოია“ მოეწყო

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

სოიოს მცენარეული რძის წარმოების მიმართულებით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სოიოს გადამამუშავებელი საწარმო მოეწყო. შპს „ჯეოსოია“ დაათვალიერეს და საწარმოო პროცესს ადგილზე გაეცნენ აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი გიორგი სურმანიძე და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები.

საწარმო სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(აიპ) აგროსერვისცენტრის 2021 წლის პროგრამის „სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის“ ფარგლებში 28300 ლარით დაფინანსდა. საწარმო სოიოსგან სხვადასხვა პროდუქციის წარმოებას გეგმავს, რომლითაც მოამარაგებს ადგილობივ ბაზარს.

გიორგი სურმანიძის განცხადებით, მსგავსი ტიპის საწარმოების ხელშეწყობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას აწარმოებს. სამინისტრო ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა პროექტებს ახორციელებს. ჩვენი მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა მეწარმეებს დამატებით ბიძგს აძლევს წარმოების განვითარება-გაფართოებისთვის. 2021 წელს სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა 18 პროექტი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის დარგში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სურსათის უვნებლობის და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

შეხვედრები გრძელდება

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

COVID 19-ის ვაქცინაციის პროცესის გააქტიურებისა და მოცვის მაჩვენებლის კიდევ უფრო გაზრდის მიზნით, სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან შეხვედრები გრძელდება.

მორიგი საინფორმაციო შეხვედრა საჯარო ბიბლიოთეკაში, ბათუმის მერიის სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების წარმომადგენლებთან გაიმართა.

შეხვედრის მონაწილეებს ინფორმაცია მიეწოდათ სახელმწიფოს მიერ დაწესებული ფულადი წახალისების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს 50 წელს ზემოთ ასაკის პირზე პირველი დოზით ვაქცინაციის შემთხვევაში - 200 ლარის, ხოლო ბუსტერდოზის გაკეთების შემთხვევაში - 100 ლარის გაცემას.

შეხვედრას აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე მარი ზანაქიძე, აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი რუსუდან შავიშვილი, ქალაქ ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი და მერის მოადგილე ლელა სურმანიძე ესწრებოდნენ.

- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ვაქცინაციის შესახებ საინფორმაციო შეხვედრები გასული წლის ოქტომბრიდან მიმდინარეობს. დღეს ბათუმის მერთან ერთად მოქალაქეებს და სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელებს შევხვდით. დაიგეგმა თითოეულ უწყებაში ამცრელი ბრიგადის გასვლა აუცრელი ან ბუსტერდოზის მსურველი თანამშრომლების ვაქცინაცია, - აღნიშნა მინისტრის მოადგილე მარი ზანაქიძემ.

ბათუმში კორონავირუსის ვაქცინაციის მოცვის მაჩვენებელი სამიზნე კონტინგენტში 95%-ს შეადგენს. იმუნიზაციის პროცესის კიდევ უფრო გააქტიურების მიზანია აღნიშნული მაჩვენებლის 100%-მდე გაზრდა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ადგილზე ჩატარდა კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინაცია. მსურველები აიცრნენ როგორც პირველი, ისე ბუსტერდოზით.

არტინსტალაცია ბულვარში

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

ძველ ბულვარში ხელოვან ბექა ჯანუაშვილის მიერ შექმნილი არტინსტალაცია „ტყის კაცი“ განთავსდა, რომელიც წაქცეულ ხეს აკავებს და სიმბოლურად, ბუნებისადმი მოფრთხილებას ასახავს.

გარემოს დაცვის კუთხით ცნობიერების ამაღლება ბათუმის ბულვარისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

ქალაქის ყველაზე გამწვანებული საპარკე სივრცე ღიაა აღნიშნული მიმართულებით სხვადასხვა იდეის ხელშეწყობისა და მხარდაჭერისთვის.

ზურაბ აბაშიძე: შერიგება საკმაოდ რთული პროცესი იქნება, მაგრამ სხვა გზა, უბრალოდ, არ არსებობს

ანანო ტაბიძე 27 48 93

ქართულ პოლიტიკაში აქტუალური და საინტერესოა რამდენიმე მიმართულებით განვითარებული პროცესები. საშინაო პოლიტიკის ამ საკითხებზე „აჭარასთან“ პოლიტოლოგმა ***ზურაბ აბაშიძემ*** *ისაუბრა.*

- ბატონო ზურაბ, რამდენიმე დღის წინ გიგი უგულავა ინიციატივით გამოვიდა, რომ ერთი ქოლგის ქვეშ გაერთიანდნენ ოპოზიციური პარტიები, რასაც ამ უკანასკნელთა მხრიდან დაინტერესება არ მოჰყვა...

- ოპოზიციური პარტიების ერთი ქოლგის ქვეშ გაერთიანება საკმაოდ რთული წარმოსადგენია, მეტიც - გიგი უგულავას განცხადებას ოპოზიციური პარტიების მხრიდან მკვეთრად უარყოფითი რეაქციები მოჰყვა. მათ ბრძოლის განსხვავებული ხედვები, სტრატეგია და მიზნები აქვთ. ეს ყველაფერი ნათლად გამოჩნდა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებშიც. სამომავლოდ უნდა ველოდოთ მესამე ძალის, ასევე, პატარა ოპოზიციური პარტიების გაძლიერებას, რაც მათ დამოუკიდებლად თამაშის საშუალებას მისცემს და პოლიტიკური პროცესებიც უფრო საინტერესო გახდება. ოპოზიციურმა პარტიებმა თავიანთი მხარდამჭერებისა და რეიტინგის გაზრდაზე უნდა იზრუნონ და საზოგადოების ორიენტირება პოლიტიკურ პროგრამებსა და ხედვებზე უნდა გააკეთონ, პოლიტიკური ლიდერების წარმატება კი დამოკიდებული იქნება ხალხის ინტერესების გაზიარებასა და მოთხოვნების რეალიზაციაზე.

- მართალია, NDI-ის კვლევებს დიდად არ ენდობა მმართველი გუნდი, თუმცა ამ ორგანიზაციის ბოლო კვლევას თუ გადავხედავთ, ოპოზიციური პარტიების რეიტინგი კლებულობს. რა არის ამის მიზეზი?

- ჩემი აზრით, ოპოზიციური პარტიების მხრიდან პოლიტიკური პროცესების მიმართ ხისტი დამოკიდებულება და მათი ამომრჩევლების მოთხოვნის უგულებელყოფაა, პოლიტიკური პროცესების სწორად მართვა პირდაპირ დამოკიდებულია მათ რეიტინგზე, ისინი რაც უფრო ახლოს იქნებიან თავიანთ ამომრჩევლებთან და გაითვალისწინებენ მათ მოთხოვნებს, ნაკლებად დაკარგავენ რეიტინგს.

- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, სამწუხაროდ, ვერ ჩამოყალიბდა ისე, რომ მისი პარლამენტში შესვლა-არშესვლა თამაშს არ დაემსგავსოს. ამ ეტაპზე, როგორც ვიცით, მთავარმა ოპოზიციურმა ძალამ საკანონმდებლო ორგანოში შესვლა გადაწყვიტა.

- ოპოზიციურ ფლანგზე მათ მაღალი რეიტინგი აქვთ, მაგრამ პარლამენტში შეუსვლელობამ ეს რეიტინგი შეასუსტა, პარლამენტის ტრიბუნის არგამოყენება, ჩემი აზრით, ძალიან დიდი შეცდომა იყო, რამაც კიდევ უფრო დააზარალა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. პარტიამ შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელის მოუწერლობით ასევე დაკარგა კოალიციური ოპოზიციური მოძრაობის ჩამოყალიბების შანსი. პოლიტიკური პროცესები კანონის ფარგლებში უნდა მოექცეს, რევოლუციური გზით ქვეყნის განვითარება კარგს არაფერს მოიტანს.

- ქვეყნის მასშტაბით ზოგიერთ მუნიციპალიტეტში საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი ოპოზიციამ ჩაიბარა, თუმცა ამის მიუხედავად მაინც ვერ ხერხდება საკრებულოებში მმართველ გუნდსა და ოპოზიციას შორის თანამშრომლობა...

- ვფიქრობ, საღმა აზრმა უნდა გაიმარჯვოს, პროცესების დეპოლარიზაცია უნდა მოხდეს და მმართველი გუნდი და ოპოზიცია ადამიანების პრობლემების მოგვარებაზე უნდა ფოკუსირდნენ. საკრებულოებში პოლიტიკური პარტიების მიერ პოლიტიკური პროცესების მართვა ერთგვარი ტესტი იქნება სამომავლოდ, თუ რამდენად შესაძლებელია კოალიციური მმართველობის შემოღება და ურთიერთთანამშრომლობა დაპირისპირებულ პარტიებს შორის ხალხისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

> *მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე კიდევ 2 წელია. ბევრი რამ პოლიტიკური პროცესების განვითარებაზეა დამოკიდებული, თუმცა, ჩემი აზრით, კოალიციური მთავრობის ფორმირება აუცილებელია. კოალიციური კაბინეტის ჩამოყალიბების შემთხვევაში პოლიტიკური პარტიები ცდილობენ რაც შეიძლება მეტი თანამდებობების მიღებას*

- როცა საკრებულოს თემაზე იწყება საუბარი, გვერდს ვერც ბათუმის საკრებულოს ავუვლით. პოზიციაც და ოპოზიციაც 2 აპრილის შუალედური არჩევნების მოლოდინშია და ორივე მხარე გამარჯვებაშია დარწმუნებული...

- ბათუმის საკრებულოს ბედი შუალედურ არჩევნებზეა დამოკიდებული, ორივე პარტიას აქვს უმრავლესობაში მოსვლის შანსი.

- გიორგი გახარია ვის თამაშს თამაშობს? „ქართული ოცნება“ მას „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ გარიგებაში სდებს ბრალს, ეს უკანასკნელი კი ამას უარყოფს.

- როგორც მოსალოდნელი იყო, „ქართულმა ოცნებამ“ თავიდანვე უარი განაცხადა გიორგი გახარიასთან თანამშრომლობაზე და მას ღალატში დასდო ბრალი. თავის მხრივ, ყოფილმა პრემიერმა კარგად გამოიყენა არსებული პოლიტიკური ვითარება და საკრებულოებში, სადაც გადამწყვეტი ხმა მას ეკუთვნოდა, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ გარიგებით მიიღო საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობები. თუ ლოგიკით ვიმსჯელებთ, მან დიდი ზიანი მიაყენა „ქართულ ოცნებას“, თანამშრომლობა კი ჯერჯერობით „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ კარგად გამოსდის.

- ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების განმუხტვას ცდილობს საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი. როგორც თავად განაცხადა გასული წლის მიწურულს, მისი ვალდებულებაა შერიგების, სიმართლისა და სამართლიანობის პროცესის დაწყება. რა შედეგს მიიღებს სალომე ზურაბიშვილი?

- ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების პოლარიზაციამ დააზიანა დემოკრატიული პროცესები, მისი ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭიროა პოლიტიკური დაპირისპირება მტრობაში არ გადაიზარდოს და ყველა პოლიტიკური პარტია და საზოგადოება გაერთიანდეს საერთო ეროვნულ საკითხებზე, უნდა მოხდეს განსხვავებული აზრისა და ინტერესების დაბალანსება და გადაწყვეტილების ისე მიღება. საქართველო ჯერ კიდევ უამრავი გამომწვევის წინაშეა, ისეთის, როგორიცაა ქვეყნის ოკუპაცია, ეკონომიკის განვითარება, სოციალური პრობლემების მოგვარება, პანდემია... კარგად უნდა გავიაზროთ წარსულში დაშვებული შეცდომები, რათა მომავალში აღარ გავიმეოროთ. შერიგება საკმაოდ რთული პროცესი იქნება, მაგრამ სხვა გზა, უბრალოდ, არ არსებობს, გარდა შერიგებისა, პატიებისა და სამართლიანობისა. პრეზიდენტის მხრიდან აღნიშნული პროცესის დაწყება კარგ შედეგს გამოიღებს სამომავლოდ. პოლარიზებული გარემოდან პოლიტიკური პროცესების გადაყვანა, დეპოლარიზებულ გარემოში დადებითად აისახება საზოგადოების განწყობასა და პოლიტიკურ კულტურაზე.

- დაბოლოს, დღევანდელი მოცემულობით თუ ვიმსჯელებთ, სამომავლოდ, უკვე 2024 წლის არჩევნების შემდეგ, კოალიციური მთავრობის ფორმირება იქნება ყველაზე აქტუალური საკითხი. რა მოლოდინი უნდა ჰქონდეს საზოგადოებას, რომელი პარტიები ითანამშრომლებენ ერთმანეთთან?

- მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე კიდევ 2 წელია. ბევრი რამ პოლიტიკური პროცესების განვითარებაზეა დამოკიდებული, თუმცა, ჩემი აზრით, კოალიციური მთავრობის ფორმირება აუცილებელია. კოალიციური კაბინეტის ჩამოყალიბების შემთხვევაში პოლიტიკური პარტიები ცდილობენ რაც შეიძლება მეტი თანამდებობების მიღებას. ზოგი პარტია ამ კანონზომიერებას არ ეთანხმება და მათი მიზანი პოლიტიკური მიზნების განხორციელებაა. დღესდღეობით ორ პოლიტიკურ პარტიას შორის მიმდინარეობს ბრძოლა, თუმცა შედარებით დაბალი პროცენტის მქონე პარტიებთან თანამშრომლობაზე იქნება მათი წარმატება დამოკიდებული. კოალიციური მთავრობის შემადგენლობასა და პოლიტიკაში აისახება საზოგადოების ფართო სპექტრის ფასეულობები და ინტერესები. ეს გარემოება აამაღლებს დემოკრატიული ლეგიტიმაციის, ხალხის წინაშე მისი ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის ხარისხს. საკმარისი გამოცდილება დაგროვდა იმისთვის, რომ ხალხმა ბრძნული გადაწყვეტილება მიიღოს და პარლამენტში ღირსეული პარტიები შევიდნენ.

უცხოეთი

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა წერილი გაუგზავნა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს, სადაც მომავალ კვირაში შეხვედრა შესთავაზა. მან ასევე შესთავაზა შეხვედრები ნატო-რუსეთის საბჭოს და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას. გაეროს უშიშროების საბჭოზე სიტყვით გამოსვლისას ბლინკენმა განაცხადა, რომ რუსეთი სტაბილურად აგროვებს 150 000-ზე მეტ ჯარისკაცს უკრაინის საზღვრებთან, რასაც მოკავშირეები და პარტნიორებიც ხედავენ. მან მოუწოდა რუსეთს, გამოიყენოს დიპლომატია, როგორც კრიზისიდან გამოსავალი. „ჩვენ გვაქვს პასუხისმგებლობა, რომ ყველა ღონე გამოვიყენოთ დიპლომატიური წარმატების მისაღწევად“, - განაცხადა ბლინკენმა.

* * *

გასული დღის განმავლობაში ბოევიკებმა ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი 60-ჯერ დაარღვიეს, მათ შორის 43 შემთხვევაში - მინსკის ხელშეკრულებებით აკრძალული იარაღის გამოყენებით, - ამის შესახებ უკრაინის გაერთიანებული ძალების შტაბი იუწყება. მისივე ცნობით, დაჭრილია გაერთიანებული ძალების ერთი სამხედრო მოსამსახურე, მეორე კი დაშავებულია. სამხედროები სამედიცინო დაწესებულებაში იმყოფებიან. „რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ დაბომბვამ დააზიანა საბავშვო ბაღის შენობა, ელექტროგადამცემი ხაზები, გაზსადენი და გაანადგურა ორი კერძო სახლი სტანიცა ლუგანსკაში. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სამმა თანამშრომელმა ტვინის შერყევა მიიღო“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

* * *

აშშ ურყევ მხარდაჭერას გამოხატავს უსაფრთხო, დემოკრატიული და დამოუკიდებელი უკრაინის მიმართ და გმობს რუსეთის სამხედრო ძალების მობილიზებას უკრაინის საზღვარზე. ამის შესახებ აღნიშნულია აშშ-ის სენატის რეზოლუციაში, რომელსაც კანონის ძალა არ აქვს. „კონგრესი ერთიანია უკრაინის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერაში“, - განაცხადა სენატორმა რობ პორტმანმა, რომელმაც სენატორ ჯინ შაჰინთან და სხვებთან ერთად დოკუმენტი სენატს წარუდგინა. რეზოლუცია პრეზიდენტ ჯო ბაიდენს მოუწოდებს, აშშ-ის მთავრობას დაავალოს, გამოიყენოს ყველა არსებული ინსტრუმენტი რუსეთისთვის „მნიშვნელოვანი ხარჯების“ დასაკისრებლად და „ევროპაში მშვიდობის აღსადგენად“.

* * *

ომიკრონის შტამით გამოწვეული კორონავირუსის გავრცელების ტალღის შემცირების გამო, ისრაელმა „მწვანე პასპორტზე“ მოთხოვნა სრულად გააუქმა. ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ნაფტალი ბენეტის თქმით, მშობლები ჯერ კიდევ ვალდებულები არიან, შვილებს კორონავირუსზე ტესტი კვირაში ორჯერ ჩაუტარონ. უარყოფითი პასუხის წარდგენა სავალდებულო რჩება მოხუცთა თავშესაფრების ვიზიტიორებისთვისაც. ისრაელში, რომლის მოსახლეობა 9,4 მილიონია, პანდემიის დაწყებიდან დღემდე კორონავირუსის დაახლოებით 3,5 მილიონი შემთხვევაა გამოვლენილი, გარდაიცვალა 9 700-ზე მეტი ადამიანი.

იმპორტირებული მედიკამენტების ხარისხის კონტროლი გამკაცრდება

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც ქვეყანაში შემოტანილ მედიკამენტებს GMP (კარგი საწარმოო პრაქტიკა) სერტიფიკატი უნდა გააჩნდეს

GMP-ი არის საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც განსაზღვრავს იმ ნორმებსა და წესებს, რომელთა შესრულებით მიიღწევა წარმოების პროცესის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა ყველა ეტაპზე, მათ შორის პროდუქციის შენახვისა და ტესტირების დროს. GMP სტანდარტი მოიცავს მთელ რიგ ინდიკატორებს, რომლებსაც აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს საწარმო, რომელიც ამა თუ იმ პროდუქციის წარმოებით არის დაკავებული

„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში მიღებული ცვლილებებით, ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოში შემოტანის დროს იმპორტიორებისთვის სავალდებულო გახდა ფარმაცევტული პროდუქტის GMP სტანდარტით წარმოების დამადასტურებელი საბუთის წარდგენა.

საქართველოს მთავრობის განცხადებით, რომელიც შესწორებების ინიციატორია, ცვლილებები ჯანსაღ კონკურენციას შეუწყობს ხელს.

იმპორტირებული მედიკამენტების ხარისხის კონტროლის დანერგვა თურქული მედიკამენტების ქართულ ბაზარზე გამოჩენის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს.

საქართველოს ფარმაცევტული ბაზარი თურქეთისთვის იანვრის შუა რიცხვებში, მთავრობის შესაბამისი განკარგულების ხელმოწერის შემდეგ გაიხსნა. ხელისუფლება ელოდება, რომ ბაზარზე გაზრდილი კონკურენცია დადებითად აისახება ფასებზე.

საქართველოს მოქალაქეები წლებია უჩივიან მედიკამენტების მაღალ ფასებს, რომლებიც მეზობელ თურქეთში სამ-ოთხჯერ იაფი ღირს.

საქართველოს არაერთი მოქალაქე წამლების შესაძენად თურქეთში მიემგზავრება, რადგან მგზავრობის ხარჯის გათვალისწინებითაც კი მათ წამლების ყიდვა მეზობელ სახელმწიფოში უფრო იაფი უჯდებათ.

საპენსიო სესხს ზედა ზღვარი დაუწესდა

ხატია იაშვილი 27 48 93

საპენსიო სესხებზე ხმამაღალი პოლიტიკური განცხადებები დროდადრო აქტიურდებოდა. ამ თვალსაზრისით პარლამენტში რამდენიმე პოლიტიკური ძალა გამოირჩეოდა. პოლიტიკოსები პენსიონერებს სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირებას ჰპირდებოდნენ, თუმცა როგორ, ამას ვერ აკონკრეტებდნენ

ფაქტია, ხმამაღალი პოლიტიკური განცხადებებით სესხის პროცენტი არ იკლებდა და ვერც დაიკლებდა, მოსახლეობა კი ფუჭი პოლიტიკური დაპირებებით იმედგაცრუებული რჩებოდა. ისიც ითქვა, რომ როცა საქმე არგუმენტირებულ მსჯელობამდე მიდიოდა, პოლიტიკოსებმა ისიც კი არ იცოდნენ, რამდენი პენსიონერი ცხოვრობდა ისეთ რეგიონში, სადაც არც ბანკომატია, არც ბანკის ფილიალი და პენსიას ბანკის თანამშრომლები ცხენებით არიგებენ.

ასე იყო თუ ისე, დღეს უკვე გადაილახა ყველა ბარიერი და საპენსიო სესხის პროცენტის საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებულია. სესხები პენსიონერებისთვის, სავარაუდოდ, შემცირდება საშუალოდ 10%-ით, დაწესდება ზედა ზღვარი და ეს იქნება 25-26%, იმ შემთხვევაში თუ პენსიონერები გადაწყვეტენ სესხის აღებას. გარდა ამისა, თანადაფინანსებით შემოდის სახელმწიფო და სწორედ ბიუჯეტიდან, დაახლოებით 15 მილიონი ლარი გამოიყოფა, რათა ბანკმა უზრუნველყოს თანხების მიწოდება პენსიონერებისთვის.

როგორ შეხვდნენ სესხით შეწუხებული პენსიონერები ამ სიახლეს?

ნატალია ზედგენიძე: - არ ამიღია სესხი, შვილი მარჩენს, არ ვარ ცუდად, მაგრამ სხვებმა რა ქნან? მეზობლები მყავს, პენსიაზე რომ არიან დამოკიდებული. ისე უჭირთ, მათი ცოდვით არ ვარ. თან სესხები აქვთ აღებული. რა ექნათ, უჭირდათ.

ფატი ბერიძე: - პედაგოგი ვიყავი და „ქართული ოცნების“ მომხრე. ჯერ იყო და, იმდენი ფული მომცეს, პენსიაზე რომ გავძლიე, ან რა არის ეს 200 ლარი, რაში გყოფნის, მაგრამ საერთოდ რომ არაფერი გაქვს, კაი ფულია... (იცინის) ჰოდა, ვდგავარ ახლა, ბიძია, აგერ - ბანკთან და ველოდები. იმდენი ვალი დამიგროვდა, ეს რას მეყოფა, მაგრამ...

ნატალია ზედგენიძე: - არ ამიღია სესხი, შვილი მარჩენს, არ ვარ ცუდად, მაგრამ სხვებმა რა ქნან? მეზობლები მყავს, პენსიაზე რომ არიან დამოკიდებული. ისე უჭირთ, მათი ცოდვით არ ვარ. თან სესხები აქვთ აღებული. რა ექნათ, უჭირდათ.

ფატი ბერიძე: - პედაგოგი ვიყავი და „ქართული ოცნების“ მომხრე. ჯერ იყო და, იმდენი ფული მომცეს, პენსიაზე რომ გადაწყვეტილებით, 25%-ში შეიძლება ამ სესხის გაცემა. აქედან გამომდინარე, კომისიის გადაწყვეტილებით, გამოცხადდება კონკურსი, რითაც შეირჩევა ბანკი, რომელიც მომსახურებას გაუწევს პენსიონრებს, იძულებით გადაადგილებულ, შშმ პირებს, მაგრამ ბანკებს არ ექნებათ უფლება 25%-ზე მეტი დაადონ საპროცენტო განაკვეთი ამ საპენსიო სესხს“.

ბ ბ ბ

> ***„არსებობს რამდენიმე ვარიანტი და იმედი მაქვს, რომ პენსიონერებისთვის მაქსიმალურად მისაღებ გზას გამოვნახავთ. რამდენიმე ვარიანტი იხილება, მათ შორისაა გარკვეული ხარჯების დასუბსიდირება, მეორე ვარიანტია, რომ პორტფელის სადაზღვევო მექანიზმი შემოვიტანოთ. მესამე ვარიანტი კი ისაა, რომ დღეს არსებული ეფექტური განაკვეთი, რაც ბაზარზეა, მაქსიმალურად ქვემოთ დავწიოთ***

ამ საკითხზე გთავაზობთ პრეს-გამოკითხვას. რესპონდენტების სიმცირეს არ ვუჩიოდით, რადგან ყველამ მოინდომა საკუთარი აზრის გამოთქმა, მით უმეტეს, რომ დასაკარგი არაფერი აქვთ. განსაკუთრებით წუხდნენ პენსიების სიმცირეს, რადგან 100-დან 90%-ს სესხი აქვს აღებული, რომელიც დროსა და სივრცეში ისეა გაწელილი, აღარც კი იციან, როდის დასრულდება.

ნანა ნადარაია: - რაღაც უსაშველო სესხია, ზუსტად სამი წლის წინ ავიღე, 1000 ლარიც არ იყო, მას შემდეგ ვიხდი ყოველთვიურად 70 ლარს. იქნებ ამ წლის ბოლოს დავასრულო. გაუგებარია. რა პროცენტი დამარიცხეს ასეთი, რით ვერ გადავიხადე... მოხუცების უმეტესობას აქვს აღებული სესხი და იცის, რომ სიცოცხლის ბოლომდე მოუწევს გადახდა, რადგან არავინ არავის წინაშე არ იღებს ვალდებულებას, რომ გადახედონ ამ პროცესს. ელემენტარული მათემატიკაც კი საკმარისია იმის მისახვედრად, რამხელა პროცენტებს გვახვევენ თავს.

კოტე ბარბაქაძე: - რა გითხრა, შვილო, კაპიკების შემყურე ვარ. ასეთი გამწარებული და დამშეული სიბერე თუ მექნებოდა, არ მეგონა. მთელი სიცოცხლე ვშრომობდი, პედაგოგი ვიყავი, არაერთი თაობა გამოვზარდე, მაგრამ ახლა პურის ფულიც კი სათხოვარი გამიხდა, რადგან პენსიის ნახევარს ბანკი იღებს. ნამდვილი მევახშეები არიან, ასეთებს ადრე კედელთან აყენებდნენ... მაპატიეთ, ტირანიას არასოდეს ვუკმევდი საკმეველს, მაგრამ ხანდაზმული ადამიანების ასეთ კაბალაში ჩაგდება როგორ შეიძლება?!

ლამარა ანდღულაძე: - სესხი, როგორ არ მაქვს. იცით რომელიმე პენსიონერი, ვისაც არა აქვს?! 500 ლარი გამოვიტანე, მაღაზიებში „ნისია“ რომ გადამეფარა. არც შემიხედია, რამდენ პროცენტს მარიცხავდნენ. სიმართლე გითხრათ, ისეთი გამწარებული ვიყავი, არც ამას შევხედავდი. ისიც ვიფიქრე, რომ მოვკვდე, პირშერცხვენილი როგორ წავიდე საიქიოში-მეთქი. არ მოვკვდი, გენაცვალე, გადავრჩი და... სრული პენსიის აღებას, ალბათ, ვერ მოვესწრები.

გერმანე ფოცხიშვილი: - არ მინდოდა აცრა, მაგრამ რომ მითხრეს, ამაში 200 ლარს მოგცემთო, წავედი და ავიცერი. მრცხვენია, ახლა ამას რომ ვამბობ, მაგრამ ისე გაგვამათხოვრეს, რომ შიშის გრძნობასაც მიშვეს, პატარა მაღაზია გავხსენი და ახლაც მარჩენს. ახლა ეს ორასი ლარიც - აცრისთვის, შემდეგ ისიც თქვეს, პენსიონერებს სესხის პროცენტს მოვუკლებთო, იციან ხალხის პატივისცემა. სხვა მთავრობებს მსგავსი არავის მოსვლია თავში. შეიძლება რაღაც შეცდომები კი აქვთ, მაგრამ ვის არ აქვს? ვინც საქმეს აკეთებს, ის ცდება. ვერაფერს ცუდს მთავრობაზე ვერ მათქმევინებთ.

* * *

მთავრობის ადმინისტრაციაში საპენსიო სესხის პროცენტის საკითხთან დაკავშირებით გამართული შეხვედრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ საპენსიო სესხის პროცენტის ზედა ზღვარი 26%-მდე დაიწევს. გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფო პენსიების დარიგების მომსახურებაში პოტენციურ გამარჯვებულ ბანკს ერთი წლის განმავლობაში 15 მილიონ ლარს გადაუხდის.

თებერვლის ბოლოს ბანკებისთვის კონკურსი გამოცხადდება, სადაც გაირკვევა, რომელი ბანკი დაარიგებს პენსიებს. ამ ეტაპზე ინტერესი „ლიბერთი ბანკმა“ და „საქართველოს ბანკმა“ გამოთქვეს.

ამასთან, როგორც პარლამენტის წევრმა „ქართული ოცნებიდან“ ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, სურვილის შემთხვევაში, პენსიონერი შეძლებს პენსიის სხვა, სასურველ ბანკში მიღებას: „დაახლოებით 15 მილიონით შეეხიდება სახელმწიფო პენსიების დარიგებაში პოტენციურ გამარჯვებულ ბანკს. ასევე, ზედა ზღვარი შემცირდა, რაც იყო ჩვენი გუნდის სურვილი და მათ შორის, ოპოზიციაც ამისთვის იღვწოდა, რომ პროცენტი დაწეულიყო და არა პოპულისტური, არამედ ადეკვატური 26 პროცენტის ფარგლებში ყოფილიყო. ასევე, ვთხოვეთ ეროვნულ ბანკს, რომ უშუალოდ პენსიონერებისთვის ცალკე ცხელი ხაზი შეექმნა“.

სტრატეგია აღმაშენებლის ლიდერმა გიორგი ვაშაძემ განაცხადა: „ძალიან მალე, ალბათ, ამას დასჭირდება დაახლოებით 3 თვე, საპენსიო სესხის პროცენტი, ვფიქრობ, მინიმუმ 10%-ით შემცირდება. მეორე მნიშვნელოვანი მიღწევა არის ის, რომ ეროვნულმა ბანკმა ფაქტობრივად დაადასტურა, რომ გაცილებით დაბალ პროცენტში შეიძლება საპენსიო სესხის გაცემა. როგორც მათ გვითხრეს, მათი კვლევით, დაახლოებით, 25%-ში შეიძლება ამ სესხის გაცემა. აქედან გამომდინარე, კომისიის გადაწყვეტილებით, გამოცხადდება კონკურსი, რითაც შეირჩევა ბანკი, რომელიც მომსახურებას გაუწევს პენსიონრებს, იძულებით გადაადგილებულ, შშმ პირებს, მაგრამ ბანკებს არ ექნებათ უფლება 25%-ზე მეტი დაადონ საპროცენტო განაკვეთი ამ საპენსიო სესხს“.

შეგახსენებთ, რომ საპენსიო გასაცემლის მიმართულებით სახელმწიფოსა და „ლიბერთი ბანკს“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას ვადა ეწურება. პენსიის გაცემის შესახებ ახალი ტენდერის ჩატარების საკითხი კი განსაკუთრებით მას შემდეგ გააქტიურდა, რაც 2021 აპრილში პარლამენტში საპენსიო სესხების საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებით დისკუსია გაიმართა, სადაც დეპუტატების კითხვებს „ლიბერთი ბანკის“ გენერალური დირექტორი ვასილ ხოდელი პასუხობდა.

აღსანიშნავია, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2021 წელს, საქართველოში პენსიის და სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხვმა 971 648 პირი შეადგინა. აქედან, პენსიის (ასაკით პენსია) მიმღები იყო 793 751 პირი, რომელთაგან 71,5% ქალია, ხოლო 28,5% - კაცი.

ამასთან, რეგიონების მიხედვით პენსიის მიმღებთა 29,4% თბილისშია, 16,3% - იმერეთში, 10,8% - სამეგრელო-ზემო სვანეთში, 9,8% - ქვემო ქართლში, 8,9% - კახეთში, დანარჩენ რეგიონებში კი ჯამურად 24,8% ფიქსირდება.

„საქსტატის“ მონაცემებით, სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა საერთო რიცხვმა 177 897 შეადგინა, საიდანაც 34,7%-ს ქალები შეადგენენ, ხოლო 65,3%-ს - კაცები.

„სოციალური პაკეტის მიმღებთაგან 71,9%-ს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები წარმოადგენენ, 12,4%-ს - მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრები, 9,9%-ს - ომის მონაწილეები, 5,5%-ს - სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები პირები, ხოლო 0,3%-ს - სხვა სახის სოციალური პაკეტის მიმღები პირები.

რეგიონების მიხედვით სოციალური პაკეტის მიმღებთა 26,7% თბილისშია, 16,9% - იმერეთში, 11,4% - აჭარაში, 9,7% - სამეგრელო-ზემო სვანეთში, დანარჩენ რეგიონებში კი ჯამურად 35,3% ფიქსირდება.

2021 წელს მიზნობრივი სოციალური პროგრამების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების რაოდენობამ 350 959 ერთეული შეადგინა, ხოლო საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობამ - 174 379-ს.

რეგიონების მიხედვით ყველაზე მეტი რეგისტრირებული ოჯახი თბილისში დაფიქსირდა და 67 ათასი შეადგინა, მიმღებთა რაოდენობა კი 38 ათასით განისაზღვრა“, - ნათქვამია „საქსტატის“ ინფორმაციაში.

პარლამენტის წევრ ირაკლი ზარქუას განცხადებით: „არსებობს რამდენიმე ვარიანტი, რაც ხელს შეუწყობს საპენსიო სესხებზე საპროცენტო განაკვეთის შემცირებას. დღეს სოციალური გამწვევების გამო, გვინდოდა მათთვის უკეთესი პირობები შეგვეთავაზებინა. არსებობს რამდენიმე ვარიანტი და იმედი მაქვს, რომ პენსიონერებისთვის მაქსიმალურად მისაღებ გზას გამოვნახავთ. რამდენიმე ვარიანტი იხილება, მათ შორისაა გარკვეული ხარჯების დასუბსიდირება, მეორე ვარიანტია, რომ პორტფელის სადაზღვევო მექანიზმი შემოვიტანოთ. მესამე ვარიანტი კი ისაა, რომ დღეს არსებული ეფექტური განაკვეთი, რაც ბაზარზეა, მაქსიმალურად ქვემოთ დავწიოთ“.

აღსანიშნავია ისიც, რომ საბანკო მომსახურების პირობების განსაზღვრის უწყებათაშორისმა კომისიამ გადაწყვიტა, რომ მომავალი ერთი თვის განმავლობაში შეირჩევა ბანკი, რომელიც ახალი პირობებით გასცემს პენსიებს და სესხებს საპენსიო უზრუნველყოფით.

როგორც ცნობილია, ტენდერში კომერციული ბანკები მიიღებენ მონაწილეობას, სავარაუდოდ, მომავალი წლიდან პენსიონერები ახალი პირობებით მიიღებენ სესხებს.

P. S. *2019 წლის აგვისტოს მონაცემებით, საპენსიო სესხების ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 32% იყო. ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, გასული აგვისტოსთვის საქართველოში 754 165 პენსიონერი ცხოვრობდა. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, მათგან ნახევარზე მეტს, ანუ 380 403 პირს, საპენსიო სესხი ჰქონდა აღებული.*

2018 წელს საპენსიო სესხების ეფექტური საპროცენტო განაკვეთი „ლიბერთი ბანკში“ 43,55% იყო. ამას მოწმობს „ლიბერთი ბანკსა“ და ერთ-ერთ პენსიონერს შორის 2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულება, მაშინ სამომხმარებლო სესხი არაპენსიონერს რომ აეღო, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 20-22% იქნებოდა.

სიახლე სოციალური პენსიების მიმღებ პირთათვის

„სოციალურად დაუცველი ადამიანები, რომლებიც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასაქმდებიან, ოთხი წლის განმავლობაში გარანტირებულად შეინარჩუნებენ ყველა იმ ბენეფიტს, რომელიც მანამდე ჰქონდათ“, - განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა. საქართველოში სოციალურად დაუცველ პირთა დასაქმების პროგრამა 1 მარტიდან ამოქმედდება. დღეისთვის, სოციალურად დაუცველი პირის სტატუსის მქონე 600 ათასი მოქალაქიდან შრომისუნარიანი 200 ათასზე მეტი ადამიანია. ზოგი მათგანი არაოფიციალურადაა დასაქმებული, რადგანაც მათ სახელმწიფო დახმარების დაკარგვის ეშინიათ.

„ოთხი წლის განმავლობაში მათ გარანტირებულად შეუნარჩუნდებათ ყველა ის დახმარება, რაც მანამდე ჰქონდათ. შესაბამისად, მათ დღეს აღარ აქვთ რისკი, რომ ან დამალონ თავიანთი სამუშაო, ან უარი თქვან სამუშაოს შეთავაზებაზე“, - განაცხადა დავითაშვილმა.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, ის ბენეფიციარები, რომლებიც დასაქმების სახელმწიფო პროგრამაში მოისურვებენ მონაწილეობას, სოციალური დახმარებისა და ანაზღაურების გარდა, სახელმწიფოსგან ყოველთვიურად დამატებით 300 ლარს მიიღებენ. საუბარია საზოგადოებრივ სამუშაოებზე.

გარდა ამისა, სოციალურად დაუცველ პირებს შესაძლებლობა ექნებათ აიმაღლონ კვალიფიკაცია, შეიძინონ გარკვეული უნარ-ჩვევები, რომელიც მათ სამუშაო ბაზარზე ინტეგრაციაში გამოადგებათ.

მინისტრის თქმით, საზოგადოებრივ სამუშაოებზე სოციალურად დაუცველთა დასაქმების პრაქტიკა ათწლეულებია წარმატებით ხორციელდება ევროპის ბევრ ქვეყანაში.

მთავრობაში ფიქრობენ, რომ სახელმწიფო პროგრამის ბევრი მონაწილე კერძო სექტორში დასაქმდება.

„ჩვენი მთავარი ამოცანა კვლავინდებურად არის ადამიანების კერძო სექტორში დასაქმება საუკეთესო პირობებით. რა თქმა უნდა, ეს მალე არ მოხდება, ჩვენ ვერ შევძლებთ ერთ დღეში და ვერც 1 მარტამდე 50 ათასი დასაქმებული მივიღოთ, მაგრამ ეს პროცესი დაიწყება მარტში და მთელი წლის მანძილზე გაგრძელდება“, - აღნიშნა დავითაშვილმა.

ხელისუფლება პირველ ეტაპზე 100 ათასამდე სოციალურად დაუცველის დასაქმებას გეგმავს.

სოციალური მომსახურების სააგენტოს 2022 წლის მონაცემებით, სახელმწიფოსგან ფინანსურ დახმარებას 648 176 პირი (175 716 ოჯახი) იღებს, რაც ქვეყნის მოსახლეობის 17,3%-ს შეადგენს.

სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ფინანსური დახმარების მოცულობა დამოკიდებულია რეიტინგულ ქულაზე - რაც უფრო ხელმოკლეა ოჯახი, მით უფრო დაბალია ქულა. დახმარების თანხა მერყეობს 10-დან 60 ლარამდე ოჯახის თითოეულ წევრზე.

საუკუნოვანი ტრადიციების მქონე მომავლის სკოლა

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ქალაქისთვის მართლაც სასიხარულო და მნიშვნელოვანი სიახლეა, რომ ბათუმის მეორე საჯარო სკოლას კაპიტალური რემონტი ჩაუტარდება.

ამ საკითხზე „აჭარასთან“ საუბრობს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე ***ჯემალ სურმანიძე.***

- ბატონო ჯემალ, კარგა ხანია საუბრობენ მეორე სკოლისთვის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების თაობაზე. სასიხარულოა, რომ გადაწყდა ამ მართლაც დიდი საქმის გაკეთება. ახლა რა ეტაპზეა ეს საკითხი?

- უკვე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი ბათუმის №2 საჯარო სკოლის შენობის სრული

ვე დასრულდება 4 საჯარო სკოლის ცალკე გამოყოფილი სპორტდარბაზის მშენებლობა. 43 სკოლაში ჩატარდება სხვადასხვა სარეაბილიტაციო სამუშაოები. ინფრასტრუქტურისათვის ჯამში 18 მლნ ლარზე მეტია გათვალისწინებული ბიუჯეტში.

გთავაზობთ ინტერვიუს №2 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელთან მარიზა აბაშიძესთან.

- გილოცავთ ქალბატონო მარიზა, ნამდვილად ისტორიული გადაწყვეტილებაა მეორე სკოლის კაპიტალური რემონტი. როგორ შეხვდით ამ ცნობას და რას აპირებთ სწავლის პროცესის კუთხით?

- რა თქმა უნდა, ძალიან გაგვიხარდა და მოტივირებული ვართ, რომ ყველაფერი კარგად გაკეთდეს, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მხრიდან. რაც შეეხება სასწავლო პროცესს, დაველოდებით ტენდერის დასრულებას და როგორც კი სათანადო შეთანხმება იქნება და ხელშეკრულება გაფორმდება განათლების სამინისტროსა და გამარჯვებულ კომპანიას შორის, არსებული პირობების და ვადების გათვალისწინებით, მივიღებთ გადაწყვეტილებას. ვგულისხმობ, სწავლის პროცესის გადატანას ონლაინრეჟიმში.

- როგორ ფიქრობთ, ეს მალე მოხდება?

- არ ვიცი, მანამდე საკმაოდ ბევრი საკითხია განსახილველი და მოსაგვარებელი, ვფიქრობ, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა არ იქნება პრობლემა, ოღონდ

სურვა ეს. ამ შემთხვევაში, თუ დაუშვებთ სხვადასხვა სკოლის კლასებში მოსწავლეთა გადანაწილებას?

- არა, ეს არც იგეგმება. მეეჭვება, რომ სწორად შეთავაზებული მომსახურება იყოს უკმაყოფილების საფუძველი, რადგან ამ ონლაინგანათლების მიღმა კეთდება ძალიან დიდი საქმე. უკვე ამ წლის სექტემბერში, ჩვენი შვილები მერხებთან დაბრუნდებიან კომფორტულ, უსაფრთხო, თანამედროვე სტანდარტებით გარემონტებულ შენობაში. ვფიქრობ, ორ თუ სამ თვეს, როგორმე გაუძლებენ, რათა შემდეგ სულ სხვა გარემოში განაგრძონ სწავლის პროცესი. ახლა არ მიმდინარეობს რემონტი, მაგრამ პანდემიის გამო, 5 კლასი ონლაინრეჟიმში მუშაობს. აქედან გამომდინარე, არავის აქვს გარანტია, რომ ყველა კლასი ონლაინ ისწავლის, მით უმეტეს, როდესაც ქალაქის უძველესი სკოლის გაახლებაზე მიდის საუბარი, დროის რაღაც მონაკვეთში დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა, დასაძრახი ნამდვილად არ უნდა იყოს.

- თუკი რომელიმე მშობელი პრინციპულად მოისურვებს?

- ჩვენ ყველა მშობლის გადაწყვეტილებას და სურვილს ვცემთ პატივს, მაგრამ ახლა ისეთ გადაწყვეტილებას ვღებულობთ, მშობლებმაც უნდა გვცენ პატივი, ერთად უნდა გავიჭირვოთ, რომ ხვალ ჩვენს შვილებს ჰქონდეთ კარგად მოწყობილი სასწავლო გარემო. ელემენტარულ შედარებას მოვიყვან - როდესაც ბინაში რემონტს ვატარებთ, ხომ ვითმენთ ყველაფერს, რადგან ვიცით, მისი დასრულების შემდეგ, სუფთად და კომფორტულად გავაგრძელებთ ცხოვრებას. დაახლოებით ამ განწყობით უნდა ვიმუშაოთ, სხვა გზა არ გვაქვს.

- ქალბატონო მარიზა, თუ შეიძლება, მოკლედ გვიამბეთ ამ ისტორიული სკოლის ისტორია?

- ჩვენი სკოლა აშენდა 1900 წლის 26 სექტემბერს. ეს იყო 150 მოსწავლისათვის გახსნილი ქალთა გიმნაზია. საბჭოთა პერიოდში მას ბათუმის ვ. ი. ლენინის სახელობის №1 ქართული საშუალო სკოლა ეწოდებოდა. იგი პირველი გახლდათ არა მარტო ბათუმში, არამედ მთელ აჭარაში. სკოლის წარმატებების სულისჩამდგმელი იყო პედაგოგთა არაერთი ღირსეული თაობა, რომელთა აღზრდილები, ცნობილი პიროვნებები, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეს ამშვენებდნენ. ეს ასოცწლიანი ტრადიცია დღემდე გრძელდება.

- თქვენი სკოლის შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია...

- დიახ, სწორედ ამის გამო დაყოვნდა მისი კაპიტალური რემონტი, რადგან უამრავი საკითხის შეთანხმება იყო აუცილებელი. როგორც უკვე ვთქვი, 1904 წელს აშენდა სკოლის ძირითადი კორპუსი და ახლა პირველად ხდება მისი იდენტიფიცირება თავდაპირველ ნაგებობასთან, ანუ ნარჩუნდება ძეგლის სტატუსის მოთხოვნები. რემონტის დროს აღდგება წინა საუკუნის დასაწყისში აშენებული სკოლის ფასადის ზუსტი ასლი - ფერი, კარ-ფანჯრის განლაგება და სხვა დეტალები, რაც ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია. აქამდე, კაპიტალური რემონტი, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დეტალების გათვალისწინებით, არ ჩატარებულა.

- ბოლოს რემონტი როდის ჩატარდა?

- 17-18 წლის წინ, მაგრამ მაშინ ფასადის იდენტიფიცირება არ მოხერხდა. სწორედ ამიტომ ვთვლი, რომ ძალიან სერიოზული საქმე კეთდება არა მხოლოდ ჩვენი სკოლისთვის, არამედ ბათუმისა და ბათუმელებისთვის. საკმაოდ სერიოზული თანხაა გამოყოფილი რემონტისთვის, დაახლოებით, ორმილიონ-ნახევარი, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ შენობის მაღალ დონეზე გარემონტებას, არამედ პანდუსების და ლიფტების დამონტაჟებას, რაც ასევე მნიშვნელოვანია შშმ-პირების სკოლაში კომფორტულად ადაპტირებისთვის. დამონტაჟდება ცენტრალური გათბობა, სათანადოდ აღიჭურვება სპორტული დარბაზი, მოეწყობა კაბინეტები, მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენს მოსწავლეებს საამაყოდ ექნებათ, ასეთ ისტორიულ და ამასთან თანამედროვე სტანდარტებით გარემონტებულ, განახლებულ და ყველა საჭირო ტექნიკით აღჭურვილ სკოლას რომ დაამთავრებენ.

- რა ვადაში უნდა დასრულდეს რემონტი?

- როგორც ვიცი, ტენდერით 6 თვეა ვადა, მთავარია, პანდემიურმა პროცესებმა ხელი არ შეგვიშალოს, მაგრამ იმედი მაქვს, მთელი ქალაქი დადგება ფეხზე და დაგვეხმარება ამ საშვილიშვილო საქმის ბოლომდე მიყვანაში. აქედან სამი თვე არდადეგებია, სწორედ ამიტომ გვაქვს, იმედი, რომ მშობლებისთვისაც და მოსწავლეებისთვისაც უმტკივნეულოდ ჩაივლის რემონტთან დაკავშირებული პრობლემები. სკოლამ მრავალი ისტორიული პროცესი გამოიარა. ქ. ბათუმის ქალთა გიმნაზიის მშენებლობის წამოწყება უშუალოდაა დაკავშირებული ქალაქის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. ესენია: ივანე მესხი, გრიგოლ ვოლსკი, ნიკა ჯაყელი, ნ. დუმბაძე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალაქის მაშინდელი თვითმმართველობის უფროსი ლუკა ასათიანი... ამიტომ ვთვლი, რომ ახლაც დაგვეხმარება ქალაქის ინტელიგენცია და სამინისტროს, აჭარის მთავრობის უშუალო ძალისხმევით, მომავალ სასწავლო წელს საუკუნის წინანდელ ფერებში, მაგრამ განახლებული ინტერიერით შევხვდებით.

> *აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 2022 წელს დაასრულებს 7 საჯარო სკოლის და დაიწყებს 9 საჯარო სკოლის მშენებლობას. ასევე დასრულდება 4 საჯარო სკოლის ცალკე გამოყოფილი სპორტდარბაზის მშენებლობა. 43 სკოლაში ჩატარდება სხვადასხვა სარეაბილიტაციო სამუშაოები. ინფრასტრუქტურისათვის ჯამში 18 მლნ ლარზე მეტია გათვალისწინებული ბიუჯეტში.*

რეაბილიტაციის ბოლო ეტაპის სამუშაოებზე. პროექტი გულისხმობს როგორც შენობის ფასადის, ისე შიდა ინტერიერის სრულ რეაბილიტაციას. პროექტის ფარგლებში გარემონტდება საკლასო ოთახები, სხვა სასკოლო სივრცე, მოწესრიგდება ეზო, ფასადი - შიდა ეზოს მხარეს. მოხდება შენობის ადაპტირება, რისთვისაც მოეწყობა პანდუსები და ლიფტი ყველა სართულზე ხელმისაწვდომობისთვის. პირველ ეტაპზე განხორციელდა შენობის სახურავის და ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

- რა თანხაა გათვლილი ასეთი უზარმაზარი სამუშაოების შესასრულებლად?

- ბოლო ეტაპის სამუშაოების ღირებულებაა 2 401 657 ლარია, სამუშაოების წარმოების ვადა - 6 თვე. სკოლის შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ატარებს, ამდენად, პროექტი შეთანხმებულია სსიპ-ის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან.

- კიდევ რამდენი სკოლის აშენებას და რემონტს აპირებთ?

- აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო 2022 წელს დაასრულებს 7 საჯარო სკოლის და დაიწყებს 9 საჯარო სკოლის მშენებლობას. ასე-

გიგა ფარტენაძე: დამარცხებას ვიყენებდი სასიკეთოდ და შემდეგ ცდაზე წარმატების ფორმულად ვაქცევდი...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ბსუ-ის ახალგაზრდა, ნიჭიერმა ლექტორმა ***გიგა ფარტენაძემ*** *ერასმუსის გაცვლით პროგრამაში გაიმარჯვა, რომელიც განკუთვნილია აკადემიური პირებისთვის და მიზნად ისახავს სასწავლო ვიზიტს - ლექციების ჩატარებას ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტებში. გიგა ფარტენაძე აპრილში ესპანეთში, მურსიის უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულების სტუდენტებს წაუკითხავს ლექციებს. რამდენად მნიშვნელოვანია ლექტორისთვის და პირადად, ბატონ გიგასთვის ამ პროგრამაში მონაწილეობა, ამას ამ ინტერვიუდან შეიტყობთ.*

- გიგა ფარტენაძე - ვინ დგას ამ სახელის მიღმა, როგორ ხედავთ საკუთარ თავს?

- ერთ-ერთი რთული შეკითხვაა, მიჭირს საკუთარ თავზე საუბარი. თუმცა შევეცდები, რამდენიმე სიტყვით გიპასუხოთ - ოჯახური ღირებულებების და ფასეულობების დამცავი, მოსიყვარულე მამა, ერთგული მეგობარი, შრომისმოყვარე (მათ შორის ფიზიკური) და პუნქტუალური.

- გილოცავთ რასმუს-ის გაცვლით პროგრამაში გამარჯვებას, გვიამბეთ ამის შესახებ...

- მოგეხსენებათ, რასმუს პლუს-ის გაცვლითი პროგრამები მოიცავს როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული პირების საერთაშორისო მობილობას ევროპის სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებში. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს წამყვანი სახელმწიფო უნივერსიტეტების ჩამონათვალში ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველ ხუთეულშია გაცვლითი პროგრამების მხრივ. მიმდინარე წლის აპრილში იგეგმება ვიზიტი ესპანეთში, მურსიის უნივერსიტეტში, სადაც ერთკვირიანი ინტენსიური შეხვედრები მექნება საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულების სტუდენტებთან.

- რამდენად მნიშვნელოვანია ლექტორებისთვის და პირადად თქვენთვის ზემოაღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა?

- ამ პროექტში გამარჯვება, რაც გულისხმობს ევროკავშირისგან გრანტის მოპოვებას, ნებისმიერი ლექტორისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან ეს, პირველ რიგში, ინტერნაციონალიზაციის პროცესის ერთ-ერთი ეფექტური გზაა, მეორე - ევროპულ ინსტიტუტებთან თანამშრომლობა გაძლევს ახალი გამოცდილებისა და კომპეტენციების გაღრმავების, ევროპელი აკადემიური პირების - კოლეგების გაცნობა-დაახლოების საშუალებას, რაც ხსნის შესაძლებლობის ახალ ფანჯარას როგორც აკადემიური პირებისათვის ასევე სტუდენტებისთვის. მნიშნელოვანია ევროპული სწავლების (ეს იქნება სალექციო თუ საუდიტორო მუშაობა, ჯგუფური განხილვები, დებატები თუ სხვა) პრაქტიკის დანერგვის პირდაპირი გზების არსებობა, რადგან განათლების ევროპულ პრაქტიკას შეუძლია დადებითი როლი ითამაშოს ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო დონის ხარისხზე.

- როგორც გაცხადდა, თქვენ ლექციებს წაიკითხავთ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ, როგორებიცაა: დია მმართველობა, დია მმართველობა პარტნიორობის ფარგლებში და ჩვენი ქვეყნის მიდწევები... გთხოვთ, დეტალურად მოგვითხროთ ამის თაობაზე?

იხ. მე-7 გვ.

«მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს იმ რთული გზის შესახებ, რომელიც ჩვენ გამოვიარეთ»

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

იმ ღამესაც ბარაქიანად თოვდა. დილაუთენია საზარელი ამბავი შეატყობინეს. თამაზი (სოსო) აბუსელიძე ავტოავარიამ იმსხვერპლა და რიკიხიდიდან მისი ცხედარი მერიაყელამდე ხელით არის გადმოსასვენებელიო. მოხუცი თუ ახალგაზრდა ფეხზე დადგა. მთელი ხევი შეაზანზარა დედის - აიშეს გოდებამ. დარდს, მეუღლის მოულოდნელ გარდაცვალებას გულში იკლავდა შუშანა მუკუტაძე-აბუსელიძე

თამაზი 6 დედმამიშვილში ყველაზე უფროსი იყო. 6 წვრილი შვილის მამა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის ემზადებოდა. შემოდგომის მიწურულს სახლის მშენებლობის თადარიგი დაიჭირა, ტერიტორიაც მონიშნა.

გამოიტირა სოფელმა და ოჯახმა ნაადრევად დაღუპული ვაჟკაცი. სამეგობრომ და მშობლებმა სოსოს ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა დაიწყეს. შემოდგომის მიწურულს უბანი ორსართულიანმა ქვითკირის სახლმა დაამშვენა. შუშანაც 5 ქალიშვილთან და ერთ ვაჟთან ერთად ახალ კერაზე ცხოვრებას შეუდგა. მაშინ შვილებიდან ყველაზე უფროსი მზევინარი მხოლოდ 11 წლისა იყო, ნაბოლარა ვლასი (რომანი) - ერთი წლის.

40-მა ზამთარმა და ზაფხულმა ჩაიარა მას შემდეგ. პატიოსანი შრომით გამოზარდა შვილები. მასაც წლები მოემატა, სადაცაა 75-ს მიუკაკუნებს.

- ფიზიკური შრომით, დედმამიშვილების, ახლობლებისა და მეზობლების თანადგომით მოვიტანე ცხოვრება დღემდე. შვილების დაკარება იმ აწეწილ დროში, რომელიც ქვეყანამ და მე ერთად გამოვიარეთ, იოლი არ იყო. ღმერთს მადლობას ვუხდი, რომ ყველა შვილს, 19 შვილიშვილს დროჟამის შესაფერისი ცხოვრება აქვთ, - ამბობს შუშანა.

შუშანას მშობლიური სოფელი ჯაბნიძეებია. 5 ქალიშვილიდან ორი აქვე გაათხოვა. რძალიც ჯაბნიძეებელი ნატარიძეების კერაზე გაზრდილი, შრომისმოყვარე, მეოჯახე ქალია. ვლასის და მელანოს ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულზე დაფუძნებული ცოლქმრობა აქვთ. ქალიშვილსა და ორ ვაჟს უზრდიან ქვეყანას. ქეთი ცინარეთის საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეა, სტუდენტობაზე ოცნებობს.

- 6-სულიანი ოჯახის რჩენა იოლი არაა, - გვეუბნება ოჯახის უფროსი ქალბატონი, - ერთ ხანს სოციალურ დახმარებას ვიღებდით, პენსიაზეც იმ წლებში გავედი, მაგრამ საკმარისი არ იყო. 35 წლის წინ აშენებული სახლის შესაბამისად მოწყობა ვერ შევძელით. რძალი და შვილი სეზონურ სამუშაოზე მეზობელ ქვეყანაში გადიოდნენ, თუმცა ამით ოჯახს ვაზარალებდით. სოფელში რომ ცხოვრობ, ოჯახს რომ პატრონობ, მამული ყოველდღიურ მზრუნველობას, განსაკუთრებით მამაკაცის ხელს ითხოვს. ვენახს, სათიბს ამ ასაკში უკვე ვეღარ ვერევი...

იყო წლები, როცა სხვათა მსგავსად, მეთამბაქოეობას მისდევდა. გასული საუკუნის 80-იან წლებში წარმოებული ხმელი თამბაქოს რეალიზებიდან მიღებული თანხით ბევრი ხარჯი გაისტუმრა, ოჯახშიც ფული მუდამ ჰქონდათ. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როცა სოფელმა თამბაქოს მოვლა-მოყვანაზე უარი თქვა, ისიც საერთო ნაკადს შეუერთდა.

კოლექტიური მეურნეობები რომ გაუქმდა და ყველამ თავისი წილი მიწა დაისაკუთრა, შუშანასაც გარკვეული ფართობი ერგო. ვაზი, სათიბი, სასიმინდე ნაკვეთი მხოლოდ ოჯახის სამყოფ მოსავალს იძლეოდა. ერთ ხანს პირუტყვი მოამრავლა, თაგინურსა და ნაცარაზე მემთეურობაც არ დაიზარა, მაგრამ დრო შეიცვალა.

- ერთ დღეს რძალი და შვილი ვიხმე და ჩანაფიქრი გავუმხილე, - იგონებს შუშანა, - გადავწყვიტე, თამბაქოს გაშენებას მივბრუნებოდით. იმდენს მაინც ვაწარმოებდით, რომ რომანს სიგარეტის შეძენაში ფული აღარ დაეხარჯებოდა. პირველ წელს 600 კვადრატულ მეტრზე გავაშენეთ. 180 კილოგრამზე მეტი ხარისხიანი ნედლეული ვაწარმოეთ. ჩვენი საცხოვრებელი და მთელი მეჭყერთის უბანი ზამთარ-ზაფხულში მზით გამთბარი ტერიტორიაა. ხილი, ყურძენი, საზამთროც კი ხარისხიანი იცის. სარწყავი წყალიც გვაქვს. თამბაქოს წყალი და მზე თუ არ მოაკელი, ისე აიყრის ტანს, რომ პლანტაციაში ცხენი არ გამოჩნდება. წარმოებული პროდუქციის რეალიზაციით ოჯახმა პირველსავე წელს 6 ათას ლარზე მეტი შემოსავალი მიიღო.

- თამბაქოს წარმოება დიდ შრომას ითხოვს... სამაგიეროდ, რძალმა და შვილმა უცხო ქვეყანაში სხვის მომსახურებას, ოჯახში შრომა ამჯობინეს. შვილიშვილებიც გვეხმარებიან. შარშანწინ და შარშან სათამბაქოე ნაკვეთი მეზობლისგან ქირით ავიღეთ, თითქმის 2600 კვადრატულ მეტრზე თამბაქო გავაშენეთ. წინა წლებთან შედარებით სარეალიზაციო ფასი დაეცა, მაგრამ ხელმოცარული არ დავრჩენილვართ. რომანმა საჭრელი დაზგა შეიძინა, ბათუმში ჯიხურიც დავდგით და მომხმარებელთან პირდაპირ კავშირზე გავედით. ასეთმა გარჯამ მეტი შემოსავალი დაგვიტოვა. წელსაც თამბაქოს მოვლა-მოყვანისთვის თადარიგს ვიჭერთ.

თამბაქოს წარმოებითა და რეალიზაციით შუშანასა და მის ოჯახს საარსებო მინიმუმზე მეტი თანხა გაუჩნდა. მსუბუქი ავტომანქანა შეიძინეს. ბათუმში, მშენებარე კორპუსში ბინა შეიძინეს, სოფლის საჭირბოროტო საქმეებშიც უფრო აქტიურად ჩაერთვნენ.

- დედმამიშვილებში უფროსი მე ვიყავი, - გვითხრა მზევინარმა, - სანამ წამოვიზრდებოდით, დედას და 6 შვილს ერთ ოთახში გვეძინა. დანარჩენი ოთახი კეთილმოუწყობელი იყო. დედის ყრუ ტირილი ახლაც ყურში ჩამესმის. მრავალ ადამიანთან მაქვს ურთიერთობა, უმრავლესობა მციერეოდენი გასაჭირის დროსაც კი წუწუნით ყველას აწუხებს. დედა დიდბუნოვანი ქალია, თავის პრობლემას სხვას თავს არ მოახვევს. ყველა დარდს გულში იკლავს. 70 წლის იუბილეს გადახდა რესტორანში შევთავაზეთ. ცივი უარი გვითხრა, შემდეგ გულისნადები ქეთის გაუმხილა: ვატყობ, არ მეშვებით, იყოს თქვენი ნება და საკუთარ კერიაზე მომეფერეთ, აქ ჩემი სოსოს სული ტრიალებსო. დედის სურვილი ჩვენთვის ახლაც კანონია, - დასძინა მზევინარმა.

ბევრი შვილი ბევრი დარდიაო, - იტყვიან აჭარის მთიანეთში. 6 შვილის გამზრდელი, 19 შვილიშვილის, 10-მდე შვილთაშვილის მომსწრე შუშანა აბუსელიძე გულით ხარობს, რომ მზევინარსა და ზაურის, ლიასა და ომარის, მზიასა და რამაზს, ხათუნასა და რევაზს, თამარსა და ფრიდონს სიყვარულზე დაფუძნებული ოჯახები აქვთ.

შუშანას 9 დედმამიშვილიდან წუთისოფელში ხუთიღა დარჩა. მამის, და-ძმების, მეუღლის, დედამთილ-მამამთილის, მაზლისა და მულის ხსოვნას გულში ინახავს.

- პირველი შემთხვევაა, როცა ჩემს ცხოვრებაზე გაზეთში წერილი ქვეყნდება. მართალი გითხრათ, ძალიან მიხარია. საზოგადოებამ, მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს იმ რთული, სიძნელეებთან ჭიდილიანი გზის შესახებ, რომელიც ჩვენ გამოვიარეთ. ადამიანი ყველაფერს უძლებს. ყველა გვერდით მედგა, მაგრამ საუკუნეს მიტანებული დედის, ძმების - მიხეილისა და აივაზის თანადგომა სულ სხვაა. ძმებმა სოფელი მიატოვეს. მიხეილი მშენებელი ინჟინერია, აივაზი ბიზნესშია ჩართული. ესეც იყო მიზეზი, რომ მამისეული კერა დროებით გამოკეტეს. ორივეზე უფროსი ვარ, შევუჩნდი, სოფელი აღედგინათ. დამიჯერეს. დილით ფანჯარას რომ გამოვაღებ და მამისეულ სახლს თვალს შევავლებ, ბედნიერი ვარ. ზაფხულობით დედაც მოდის. ყველა ქალს, დედას, გამორჩეულად დედაჩემს, მოახლოებულ ქალთა დღესასწაულებს ვულოცავ, - დაგვაბარა თოვლში ჩაძირულ სოფელში მცხოვრებმა ქალბატონმა.

***P. S.** შუახევში შუშანა აბუსელიძის სადარი ქალბატონები მრავლად არიან. მათ სირთულეებთან ჭიდილი, შრომა, ოჯახისა და ქვეყნის სიყვარული ამაგრებთ და აძლიერებთ. სულ მალე გაზაფხული და ქალთა დღესასწაულები კარს მოგვადგება. ყველას სულის სიმხნევეს, ჯანმრთელობას ვუსურვებთ გაზეთ «აჭარის» კოლექტივის სახელით. მადლი მათ მარჯვენას.*

> ***„ბევრი შვილი ბევრი დარდიაო, - იტყვიან აჭარის მთიანეთში. 6 შვილის გამზრდელი, 19 შვილიშვილის, 10-მდე შვილთაშვილის მომსწრე შუშანა აბუსელიძე გულით ხარობს, რომ მზევინარსა და ზაურის, ლიასა და ომარის, მზიასა და რამაზს, ხათუნასა და რევაზს, თამარსა და ფრიდონს სიყვარულზე დაფუძნებული ოჯახები აქვთ.***

ახალი წიგნები

«მობრძანდი...»

ციტნე ცაბაძე 27 48 93

«სიახლის ძიებისთვის გამაჩინა ზენარმა», - წერს ავტობიოგრაფიაში საქართველოს ტელევიზიის შემოქმედებითი გაერთიანება «ბალავარის» ყოფილი რედაქტორი, შემდგომ წლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს ინსპექტორი, სამხარეო სამმართველოს უფროსის მოადგილე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საინსპექტორო სამსახურის უფროსი, პატიმარი, ისტორიის მასწავლებელი, თეატრის რეჟისორი გია ქურიძე, რომელიც 45 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამ დროს ლანჩხუთის კულტურის ცენტრის დირექტორი იყო.

ერთ ხანს ლანჩხუთში გამომავალი გაზეთების - «ჰო და არა», «ლანჩხუთის მოამბე», «ლანჩხუთი პლუსი» კორესპონდენტი, იუმორისტულ გაზეთ «წიწმატის» რედაქტორი და ლიტერატურულ კლუბ «მერანის» ხელმძღვანელი გახლდათ.

«თუ უყვარდა, ტარიელივით უყვარდა, თუ იბრძოდა - ავთანდილივით, თუ ძმობდა - ფრიდონივით, თუმცა ეს ყველაფერი - ცხოვრებაში, თორემ ლიტერატურაში თავისი თავის მიმდევარიც თვითონ იყო და იდეური წინაპარიც, გამსამართლებელიცა და შემწყალებელიც. მთავარი ხიბლი კი ის არის, რომ გრძელი სიტყვის მოკლედ მთქმელთა ავანგარდში იდგა ყოველთვის», - წერს წიგნის «მობრძანდი... (დანაპირები)» წინასიტყვაობაში ცნობილი პოეტი გენრი დოლიძე.

გია ქურიძის უახლოესმა მეგობარმა და თანამოდარდემ, პოეტმა, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრმა ნანა (ნანო) შაინიძემ თავი მოუყარა გიას 15-მდე პროზაულ ნაწარმოებს და თითქმის ამდენივე ლექსსა და საერთო სათაურით გამოსცა. წიგნის რედაქტორობაც თავად იკისრა. წიგნში შეტანილი მოთხრობები, ჩანახატები, ლექსები საინტერესო საკითხავია, მაგრამ მკითხველის ყურადღებას უდავოდ მიიპყრობს მოთხრობები «მობრძანდი» და «ლუკა». ავტორი ამ ნაწარმოებებში ქართულ ხასიათს, წინაპართა ადათ-წესებს მხატვრულ ფორმებში წარმოაჩენს.

რედაქტორს წიგნში მისი და გიასადმი მიძღვნილი ლექსების შეტანაც არ დავიწყებია. გია ქურიძეს ექსპრომტებს პაპუნა ფირცხალაიშვილი და ზურა მურვანიძე (იბერიელი) უძღვნიან.

«გაიხსნა ფარდა, უშენოდ ტაში!
ექოს გარეშე გაგრძელდა ბიძგი,
სცენაზე ბზარი დამეტყო ხმაში,
როცა გავიგე არ მყავდი, ბიძი...».

ასე ამთავრებს ზურა მურვანიძე ლექსს, რომელიც გია ქურიძის დაკრძალვის დღეს 2014 წლის ოქტომბერში დაწერილი.

წიგნის კორექტორია ნატალი დავითაძე (სხალთელი), მხატვარი - ეკატერინე ცინცაძე, კომპიუტერული უზრუნველყოფა თორნიკე გორგილაძეს ეკუთვნის.

«პეგასი»

სამი წლის წინ პოეტებმა ნანა შაინიძემ (იდეის ავტორი და ორგანიზატორი) და რამაზ ხმალაძემ (თანაორგანიზატორი) სათავე დაუდეს ახალგაზრდა შემოქმედთა ლიტერატურულ კონკურსს «პეგასი».



პროექტს მხარი დაუჭირეს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, აჭარის მწერალთა სახლმა, შპს «აჭარისწყალი ჯორჯიამ», «ოქროს არწივმა», პარლამენტარმა ანზორ ბოლქვაძემ, სასტუმროთა ქსელმა «ირეპალასმა», არასამთავრობო ორგანიზაცია «მეხუთე სტიქიამ».

კონკურსის ფარგლებში, 2019 წლის სექტემბრიდან მოყოლებული სხვადასხვა აქტივობა გაიმართა ხულოში, შუახევში, ქედაში, ხელვაჩაურსა და ბოლოს ქობულეთში, სადაც გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ. ესენი არიან: დიანა ნაკაიძე, მირიან მერცხალაძე, ევა ართმელაძე, იმედა წითელაძე, მალვინა ზოიძე, ოთო ბერიძე, ნიკუშა აბულაძე, სალომე ანანიძე, გიული ბოლქვაძე, ანა ბარათაშვილი, სოფიო ქოქოლაძე, ამირან დოლიძე, თამთა ვარშანიძე, მეგი გომიაშვილი, გუჯა წითელაძე.

«პეგასი 2021» მირიან მერცხალაძე გახდა, აჭარის მწერალთა სახლის რჩეული - დიანა ნაკაიძე. ასევე გამოვლინდნენ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები, ფინალისტები, ჟიურის რჩეულები.

წიგნში «პეგასი» ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებული 15-ივე ახალგაზრდა შემოქმედის ლექსები და პროზაული ნაწარმოებებია შეტანილი. წიგნი ილუსტრაციებითაც მდიდარია.

გიგა ფარტენაძე: დამარცხებას ვიყენებდი სასიკეთოდ და შემდეგ ცდაზე წარმატების ფორმულად ვაქცევდი...

მე-5 გვერდიდან

- თანამედროვე ეტაპზე შედეგიანად და წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო მმართველობის ისეთი რეფორმა, რომლის შედეგად არა მხოლოდ სრულყოფილი ხდება მმართველობის ცალკეული ფუნქციები ან პროცესები, არამედ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მმართველობის სუბიექტსა და ობიექტს შორის ურთიერთქმედების ხარისხობრივად ახალი სისტემა ყალიბდება. ღია მმართველობის განვითარების პროცესი საქართველოში საჯარო მართვის სისტემის ფუნქციონირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მართვის ტექნოლოგიების სრულყოფას, რამაც უნდა აამაღლოს სახელმწიფო აპარატის მუშაობის ეფექტურობა, მისი ურთიერთქმედება მოქალაქეებთან და სხვადასხვა დაწესებულებასთან. ამასთან, დიდ მნიშვნელობს იძენს ბიუროკრატიზაციის და კორუფციის აღმოფხვრა სახელმწიფო სამსახურში. ამ კონტექსტში მთავარ როლს თამაშობს ღია მმართველობის განვითარება და ეფექტური ფუნქციონირება. მისი მთავარი ღირსება კი იქნება საზოგადოების ნდობის ამაღლება ხელისუფლებისადმი და მოქალაქეების ჩართულობა მართვის პროცესში. ღია მმართველობა ეს საერთაშორისო პროცესია, რომლის კოორდინირებულ მოქმედებას უზრუნველყოფს ღია მმართველობის პარტნიორობა. ეს უკანასკნელი აშშ-ისა და ბრაზილიის პრეზიდენტების ერთობლივი ძალისხმევაა, რომელიც მათ 2011 წელს 8 ქვეყნის ინიციატივით დააფუძნეს. ინიციატივა მთავრობებისა და სახელისუფლებო შტოების მეტ გამჭვირვალობას გულისხმობს. პარტნიორობის მონაწილე ქვეყნის მთავრობები იღებენ ვალდებულებას, მოქალაქეებისათვის იყვნენ უფრო გახსნილი, ჩართონ ისინი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ხელმისაწვდომი და კომფორტული გახადონ სახელმწიფო სერვისები. აღებული ვალდებულებების შესრულების ხარისხით განისაზღვრება ქვეყნის წარმატება „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ფარგლებში.

- აჭარიდან წელს მხოლოდ თქვენ გაიმარჯვეთ ამ პროექტში?

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ფაკულტეტებისა და სპეციალობების მიხედვით არჩევენ აკადემიურ პირებს მობილობის მიზნით, გიდასტურებთ, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან შერჩეულია ჩემი კანდიდატურა.

- ახალგაზრდა ლექტორი და დოქტორი ხართ და უკვე - ძალიან პოპულარული. თქვენი აზრით, რა მატებს ადამიანს და პირადად თქვენ სულიერ ძალას?

- ვფიქრობ, ადამიანის სულიერ სიძლიერეს განაპირობებს რწმენა, ინტელექტი, იმედი, რომელსაც ვუხმობთ კონკრეტული ცხოვრებისეული პრობლემების და გამოწვევების დროს. სწორედ რომ, ჩვენ წინაშე მდგარი გამოწვევების და პრობლემების საფეხური განსაზღვრავს ჩვენი სულიერების სიძლიერის ხარისხს.

- სკოლის და სტუდენტობის წლებს როგორ გაიხსნებთ?

- გამოგიტყდებით და ვერასდროს წარმოვიდგენდი, ნოსტალგიით თუ გავიხსენებდი სკოლის ან სტუდენტობის პერიოდს, თუმცა რეალობა სულ სხვა აღმოჩნდა... სკოლის მეგობრები, თანაკლასელები, საერთო თავგადასავლები, სადაც თავს უფლებას აძლევ, რადაც „დაშავო“ - ყველაფერ ამას თავისი ხიბლი ჰქონდა და ძალიან მენატრება, განსაკუთრებით - ჩემი თანაკლასელები... სამწუხაროდ, იშვიათად თუ შევიკრიბებით. რაც შეეხება სტუდენტობის პერიოდს, ის ნამდვილად გამორჩეული იყო, ფაქტობრივად, I კურსიდან განსაზღვრული მქონდა, რა უნდა მეკეთებინა ცხოვრებაში და ამ მიზნის განხორციელებაც სტუდენტის სტატუსის მონიჭებისთანავე დავიწყე. აქტიური სტუდენტური ცხოვრება, თვითმმართველობის წევრობიდან დაწყებული, ფედერაციის პრეზიდენტობამდე გაგრძელებული, კარგი იყო. ჩართული ვიყავით როგორც შემეცნებით, ისე გასართობ ღონისძიებებში, ამ ყველაფერმა საამაყო მეგობრები შემძინა, ფაქტობრივად, ისინი დღეს ჩემი ყოველდღიურობის ნაწილი არიან.

- მშობლებისა და პედაგოგების როლი თქვენს პიროვნებად ჩამოყალიბებაში...

- მთავარი, რაც მშობელს შეუძლია მისცეს შვილს, ეს არის საკუთარი თავის რწმენა, შეცდომის დაშვების უფლება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - განათლება. კარგი განათლება ყველაზე დიდი ინვესტიციაა, რაც შვილისთვის მშობელს შეუძლია გააკეთოს. პედაგოგები კი ამ პროცესის პრაქტიკაში განმახორციელებლები არიან. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თითოეულ იმ პედაგოგს, რომელმაც ჩემს აღზრდასა და განათლებაში მიიღო მონაწილეობა, საჯაროდ გადავუხადო მადლობა, რადგან ისინი გვითმობენ ყველაზე მნიშვნელოვანს - დროს, რათა გავხდეთ წარმატებულები და კონკურენტუნარიანები.

- რა როლი უჭირავს თქვენს ცხოვრებაში ოჯახს?

- ოჯახს შევადარებ ზღვას, რომელიც წარმოუდგენელია მღელვარების გარეშე, თუმცა დგება მომენტი (რაც უფრო ხშირია), რომელიც ყოველგვარ მღელვარებას გავიწყებს: დამშვიდებული ზღვა, რომელიც თავისი მსუბუქი რხევებით ნაპირს ესაუბრება და ალამაზებს მთელ ქალაქს.

- ცხოვრებისეულ პრობლემებს როგორ უმკლავდებით?

- ოპტიმისტი ვარ, ყოველ პრობლემას ვუყურებდი და ვუყურებ ისე, რომ მისი დაძლევის თუ გადალახვის შემდეგ შესაძლებლობების ახალი სივრცე იშლება. ნებისმიერი საკითხის გადაჭრის დროს გვაქვს ორი შედეგი, დადებითი ან უარყოფითი, არცერთი მათგანი არასოდეს ყოფილა გაჩერების, უიმედობის ან ნიჰილიზმის მიზეზი, უფრო მეტიც - ყოველ „დამარცხებას“ (რაც არაერთი ყოფილა) ჩემს სასიკეთოდ ვიყენებდი და შემდეგ ცდაზე მათ წარმატების ფორმულად ვაქცევდი. ალბათ ეს არის ჩემი ცხოვრების, წარმატების ფილოსოფიაც.

- წიგნი - თქვენს ცხოვრებაში...

- ბევრი მიფიქრია წიგნის მნიშვნელობაზე, ერთად გატარებულ დროზე და რაშიც დავრწმუნდი, ეს არის ის, რომ წიგნის კითხვა დამალული, დავიწყებული განძივითაა, სად, როდის და რა ვითარებაში გამოგადგება არ იცი, თუმცა როგორც განძის პოვნის შემდეგ სიხარული გეუფლება, ასევეა წაკითხულის პრაქტიკაში რეალიზების დროსაც.

- როგორ ფიქრობთ, რა ტრადიციები უნდა შევინარჩუნოთ და რომელს ვუთხრათ უარი?

- ტრადიციების კლასიფიკაციას განაპირობებს ერის განვითარებულობა. ყველას კარგად გვახსოვს, განსაკუთრებით, 10 წლის წინანდელი საუბრები საზოგადოებაში, რომ ევროპა და დასავლეთი გვართმევს ტრადიციებს, ოჯახურ ღირებულებებს და ა.შ. მიხარია, რომ დღეს ასე აღარ არის. ეს ყველაფერი კი სწორი კომუნიკაციის, საკუთარი თვალით დანახული და განცდილი ევროპული ცხოვრების შედეგია.

- ბათუმი თქვენთვის...

- არის ჩემი წინაპრები, სამშობლო, ოჯახი, მეგობრები, ბულვარი, შავი ზღვის სანაპირო და გარემო, რომელსაც უანგაროდ შემიძლია ვემსახურო.

- დაბოლოს, რა არის კითხვა, გამუდმებით თან რომ გდევთ და რას უპასუხებთ მას?

- საკუთარ თავთან ხშირად მაქვს კითხვები, ერთს გაგიზიარებთ: - რას ვაკეთებ იმისთვის, რომ ჩვენ ირგვლივ მყოფი ადამიანების ყოველდღიურობა უკეთესობისკენ შევცვალო? პასუხი: - ჩვენ რა ხერხითაც და საშუალებითაც არ უნდა ვეცადოთ სხვის დახმარებას, ეს უნდა იყოს უანგარო, თანაგრძნობით განპირობებული, სხვისი წარმატება, უბრალოდ, უნდა გვაბედნიერებდეს და სიამოვნებას გვგვრიდეს.

„სრულ მზადყოფნას ვინარჩუნებთ, რათა დიპლომატიურ პროცესში ჩავერთოთ, თუმცა...“

„მოვლენები ბოლო 20-24 საათის განმავლობაში იმ სცენარიდან არის, რომელიც უკვე რეალიზდება და რითაც მცდარი პროვოკაციები, მათზე რეაგირება და უკრაინის წინააღმდეგ ახალი აგრესიის განვითარება იქმნება. მიმაჩნია, რომ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ნათელი მოვფინოთ იმას, რასაც ვხედავთ. ამან შესაძლოა, რუსეთს კურსი შეაცვლევინოს. ჩვენ ყველანი - კოლეგებთან ერთად - სრულ მზადყოფნას ვინარჩუნებთ, რათა დიპლომატიურ პროცესში ჩავერთოთ, თუმცა ისტორია უნდა იყოს ჩვენი გზამკვლევი და ვიხელმძღვანელოთ 2014 წელს და მანამდე საქართველოში 2008 წელს განვითარებული მოვლენებით, - განაცხადა გუშინ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა მიუნჰენის უსაფრთხოების 58-ე კონფერენციაზე, - ფაქტებით უნდა ვიხელმძღვანელოთ! ფაქტები კი ცხადყოფს, რომ რუსეთის მიერ გაკეთებული განცხადებების მიუხედავად, მათ შორის საზღვრიდან ჯარების გაყვანის შესახებ ამ ბოლო დროს გაჟღერებული ინფორმაციის მიუხედავად, ეს სულაც არ ხდება ასე რეალობაში. პირიქით, საზღვართან მეტი - თან წამყვანი ძალების კონცენტრაციას ვხედავთ, რაც ნებისმიერი აგრესიის გამომწვევი შეიძლება გახდეს. ჩვენს ხელთ არსებული ერთადერთი უდიდესი ბერკეტი ამ გამოწვევის და პრობლემის წინაშე არის ის სოლიდარობა, რომელზეც აქ ყველანი ვსაუბრობთ“.

ამირან გურიელიძე

ხსოვნა

ამირან ჯაიანი

2022 წლის 17 თებერვალს 81 წლის ასაკში ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შედეგად ქართული ინტელიგენციის რიგებს გამოაკლდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ქ. ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს კარდიოლოგიის განყოფილების ყოფილი გამგე ამირან ფოლადის ძე ჯაიანი.

დაიბადა 1941 წლის 4 მაისს ხულოს რაიონის სოფელ ხიხაძირში. 1958 წელს დაამთავრა ხიხაძირის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1964 წელს. 1964-1967 წლებში მუშაობდა ხიხაძირის საუბნო საავადმყოფოში მთავარ ექიმად. ემსახურებოდა 8 სოფელს. გამოძახებების გამო არაერთ ღამეს თეთრად ათენებდა. 1968-1970 წლებში კარდიოლოგიის განხრით გაიარა ორდინატურა ქ. მოსკოვის №1 სამედიცინო ინსტიტუტში. 1970-1978 წლებში მუშაობდა ქ. ბათუმის №1 საავადმყოფოში თერაპევტად, 1978 წლიდან - აჭარის რესპუბლიკური საავადმყოფოს კარდიოლოგიურ განყოფილებაში ჯერ ორდინატორად, შემდეგ განყოფილების გამგედ.

1978-1983 წლებში დაამთავრა მოსკოვის №1 სამედიცინო ინსტიტუტის ვინოგრადოვის სახელობის კლინიკაში ასპირანტურა და იქვე, 1983 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „სტენოკარდიული თავისებურებები გულის ქრონიკული იშემიური დაავადების დროს“ და მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. მისი სამედიცინო პრაქტიკის შედეგები გამოვლინდა რამდენიმე ნაშრომსა და სტატიაში.

ამირან ჯაიანი დიდი დატვირთვით მუშაობდა, ბევრჯერ იძახებდნენ საკონსულტაციოდ ქალაქგარეთ სამედიცინო საავადმყოფოებში. იყო ენერგიული და დაუზარელი, ყოველთვის ზუსტ დიაგნოზს სვამდა და სწორი მკურნალობით ფეხზე აყენებდა ავადმყოფებს.

ამირან ჯაიანი ძლიერი კარდიოლოგი იყო, მას კავშირი არ გაუწყვეტია მოსკოველ აღმზრდელ კოლეგა-მეცნიერებთან და ყოველთვის ეცნობოდა თავისი სპეციალობის შესახებ უახლეს ლიტერატურას, რაც ეხმარებოდა და უადვილებდა ავადმყოფების მკურნალობას.

ასეთმა მძიმე დატვირთვამ გავლენა მოახდინა მის ჯანმრთელობაზე. პენსიაზე გასული იქვე კონსულტანტ-ექიმად აგრძელებდა მუშაობას. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით და ქების სიგელებით. ჰყავდა მეუღლე, ქალბატონი ნათელა ანანიძე - ექიმი-გინეკოლოგი. აღზარდეს ქალ-ვაჟი ნინო და თენგიზი. ორივე ექიმია.

ნინომ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სამედიცინო განათლება მიიღო მოსკოვში. იქვე დაამთავრა ასპირანტურა, დაიცვა საკანდიდატო (2001 წ.) და სადოქტორო (2008 წ.) დისერტაციები თემაზე: „პროგნოზირება და პროფილაქტიკა გულით ავადმყოფებისა, რომელთაც გადატანილი აქვთ მიოკარდიუმის ინფარქტი“. 2003 წლიდან კითხულობს ლექციებს კარდიოლოგიურ კლინიკაში და მკურნალობს ინფარქტგადატანილ ავადმყოფებს მედიკამენტებით. ამ მიზნით, მივლინებებით დადის ევროპის ქვეყნებში და მოხსენებებს აკეთებს სიმპოზიუმებსა და კარდიოლოგთა საერთაშორისო ყრილობებზე, ბატონი თენგიზი კი აშშ-შია.

ამირან ჯაიანი წავიდა ამქვეყნიდან, დატოვა აღიარებული ტრადიციული სამედიცინო დინასტიური ოჯახი და კარგი სახელი. მისი სახელი და ხსოვნა დიდხანს გაჰყვება მის ოჯახს, ახლობლებს, კოლეგებს, მეგობრებს, ყველას, ვინც მას იცნობდა.

აქ კარგი კაცი იყავი და მუდმივ სასუფეველშიც უფლის მადლით სამუდამო ნეტარება გქონდეთ.

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

აჭარის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო;

აჭარის ღვაწლმოსილ მუშაკთა პატივმიგებისა და მადლიერების საზოგადოება

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეროძის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 18/02/22, 19 00 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

წარმატება – ირანში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ზაფხულში ბათუმში დაგეგმილია შოტოკან კარატე დოს დიდი საერთაშორისო (ღია) ტურნირი, ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ საქართველოს შოტოკან კარატე დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს, მსოფლიო შოტოკან კარატე დოს ფედერაციის პრეზიდიუმისა და დირექტორატის წევრს, ამავე ფედერაციის წარმომადგენელს საქართველოში, შეფინსტრუქტორს, შავი ქამრის მეშვიდე დანის მფლობელს, მოქმედ სპორტსმენსა და მწვრთნელ ნოდარ ხაჯიშვილს

ბატონ ნოდარს სპორტის ამ სახეობაში არაერთი მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი აღუზრდია.

შარშან პანდემიის გამო შეჩერებული იყო ასპარეზობები, მაგრამ ნოდარ ხაჯიშვილის აღსაზრდელები ონლაინტურნირებში მონაწილეობდნენ. სომხეთსა და თეირანში მაინც მოახერხეს ჩასვლა, სადაც საერთაშორისო ჩემპიონატზე იასპარეზეს და სემინარშიც მონაწილეობდნენ. აქ მან იაპონელ ხიტოში კასუიასთან ერთად ჩაატარა სემინარები. წელსაც იგივე ღონისძიებები გაიმართა ირანსა და სომხეთში. ირანში გაიმართა დიდი საერთაშორისო ტურნირი აღმოსავლურ ორთაბრძოლებში, რომელშიც მონაწილეობდა 2500 სპორტსმენი. აღსანიშნავია, რომ ირანში მამაკაცები და ქალები სხვადასხვა დარბაზში გამოდიან, ის ხომ ისლამური სახელმწიფოა. ქალთა ჩემპიონატის საზეიმო გახსნას და ფინალურ ორთაბრძოლებს მამაკაცების მხრიდან მხოლოდ ოფიციალური პირები დაესწრნენ და მათ შორის იყო ნოდარ ხაჯიშვილი.

მამაკაცთა ჩემპიონატი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში და სხვადასხვა წონით კატეგორიაში - კატებში, კუმიტში (გუნდურ, ისე პირადში) ჩატარდა.

როგორც ბატონმა ნოდარმა გვითხრა, საქართველო წარადგინეს თბილისელმა და ბათუმელმა კარატისტებმა, რომელთა შორის იყვნენ საბა აბუსერიძე, გიორგი ნაკაშიძე, ჭაბუკა მახარაძე, ნიკა ყარმაზანაშვილი. მათ საერთო ჯამში სხვადასხვა სინჯის მედლები დაისაკუთრეს - ერთი ოქრო, ორი ვერცხლი და ექვსი ბრინჯაო.

- ეს იყო მაღალ დონეზე ორგანიზებული ტურნირი, რომელშიც ძალიან ბევრი ქვეყანა მონაწილეობდა, მათ შორის ავღანეთი, ქუვეითი, ერაყი, ჩინეთი, კორეა, პაკისტანი, აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი... იასპარეზეს როგორც სპორტულ კარატეში, ასევე სხვადასხვა სტილში. რადგან ეს იყო აღმოსავლური ორთაბრძოლების გაერთიანებული ჩემპიონატი, იგი კარგი იყო იმითაც, რომ არაჩვეულებრივი მეგობრული ატმოსფერო სუფევდა, მიკერძოება მსაჯებიდან არ ყოფილა, სათანადოდ ფასდებოდა პროფესიონალიზმი, მომზადება, ამიტომ ყველა კმაყოფილი დარჩა, მათ შორის ჩვენ.

- ბატონო ნოდარ, ახლა მსოფლიოში პანდემია მძვინვარებს და ამ მხრივ იქ როგორაა ქვეყანა დაცული?

- ეს საყოველთაო პრობლემაა, და არა მარტო სპორტის, პისიარის და ვაქცინაციის საბუთის გარეშე იქაც არ უშვებენ, გავიარეთ სათანადო შემოწმება, ცნობა საქართველოში ავიღეთ და ვაქცინაც აქ გავიკეთეთ. სხვათა შორის, იქ არ ჭქონდა მნიშვნელობა, რომელი ვაქცინით იყავი აცრილი, მე „ფაიზერი“ მქონდა გაკეთებული, რუსეთის წარმომადგენლებს - „სპუტნიკი“, ჩვენს სპორტსმენებს - ჩინური...

- პირბადეს ატარებენ?

- თეირანში 22 მილიონია მოსახლეობა და ქალაქში პირბადე უკეთია ყველას. ძალიან მოწესრიგებულები არიან. მოგეხსენებათ, თეირანი უძველესი და დიდი კულტურის ქალაქია - ადამიანები ერთმანეთს დიდ პატივს სცემენ, ეს უმაღლეს დონეზეა და ამ დიდი შეგნებით უკეთიათ პირბადე, უფრთხილდებიან ერთმანეთის ჯანმრთელობას.

- ახლა რისთვის ემზადებით?

- ბათუმში ვგეგმავთ საქართველოს ღია საერთაშორისო ჩემპიონატს, სადაც სხვადასხვა ქვეყანას მოვიწვევთ. თეირანში ყოფნის დროს გაირკვა, რომ ჩემპიონატის მონაწილე ქვეყნებიდან ჩვენთან ჩამოსვლის სურვილი ძალიან ბევრს აქვს. ამის მიზეზი ალბათ ისიც

არის, რომ მე არაერთი წელია ვატარებ საერთაშორისო ღია ტურნირებს ბათუმში, ესწრებიან, მოსწონთ და აქ კვლავ ჩამოსვლის სურვილი უჩნდებათ. მომავალ ჩემპიონატზე დაწესებული მაქვს როგორც ფულადი ჰონორარები, ისე საჩუქრები. ადრინდელ ჩემპიონატებზე ყოფნის დროს დიდ კმაყოფილებას გამოხატავდნენ. გამორჩეულად მოსწონთ ჩვენი კერძები. ეს ძალიან მახარებს, რადგან ჩვენი ეროვნული ფასეულობები მეც იმის საშუალებას მაძლევს, რომ ეს ღონისძიებები იყოს უფრო მრავალფეროვანი და ინტერნაციონალური, შესაბამისად, ვცდილობთ მაღალ დონეზე ჩავატაროთ.

- როგორც ვიცი, პანდემიის მიუხედავად, ვარჯიშები არ შეგიწყვეტიათ.

- მართალია, დარბაზში ვერ ვვარჯიშობთ, მაგრამ ვცდილობთ, მეცადინეობა არ შევწყვიტოთ და ამიტომ გადავიტანეთ ზღვისპირა პარკში - ანბანის კოშკისა და „ძველი გემის“ მიმდებარედ, ღია სივრცეში ვვარჯიშობთ, რაც ნაკლებად საშიშია. დარბაზებში პირბადით ვარჯიში სპორტსმენს სუნთქვის დროს ძალიან დიდ პრობლემას უქმნის - გული აჩქარებულია, ცდილობ, ისუნთქო პირითაც...

როგორც ნოდარ ხაჯიშვილმა გვითხრა, თუ რაიმე არ შეიცვალა, ბათუმში დაგეგმილი ჩემპიონატი 1-5 ივლისს გაიმართება და ის იქნება შესარჩევი იმ მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომელსაც იაპონიის დედაქალაქი ტოკიო 1-8 აგვისტოს უმასპინძლებს.

მამარდაშვილი სასტარტოში იქნება (?)

ლა ლიგის 25-ე ტურში გიორგი მამარდაშვილის „ვალენსია“ „მესტალიაზე“ „ბარსელონას“ დაუპირისპირდება. ესპანურ პრესაში ამ საინტერესო შეხვედრაზე აქტიურად წერენ და Mundo Deportivo ფეხბურთის ქართველი ქომაგებისთვის სასიხარულო ინფორმაციას ავრცელებს:

„25-ე ტურის გამორჩეული მატჩი „ვალენსიასა“ და „ბარსელონას“ შორის გაიმართება. ჩე ჩავის გუნდს „მესტალიაზე“ დაუხვდება და სამი ქულის აღებას შეეცდება. ხოსე ბორდალასის მოსვლის შემდეგ „ღამურების ისტორიაში“ ახალი ეტაპი დაიწყო... ქართველი გოლკიპერი გიორგი მამარდაშვილი „ვალენსიის“ ძირითადი მეკარის ფუნქციების შესრულებას „ბარსელონასთანაც“ გააგრძელებს. იგი იასპერ სილესენის არყოფნით სარგებლობს, რომელსაც ახლახან ოპერაცია ჩაუტარდა“, - წერს ესპანური გამოცემა.

სხვათა შორის, Mundo Deportivo ერთადერთი არაა, ვინც „მამარდას“ ძირითადში გამოჩენას ვარაუდობს - Goal.com-მა ლა ლიგის მომდევნო ტურის მატჩებში გუნდების სავარაუდო შემადგენლობები დაასახელა და „ბარსელონასთან“ დაპირისპირებაში „ვალენსიის“ კარში ქართველი გოლკიპერი „ჩააყენა“.

ამირან გურიელიძე

ამირან ხაბაზი ბოლო ნაწარმოებით – გენიალური შოთას თამარ მეფისადმი სიყვარულზე

გამომცემლობა „ბათუმმა“ ახლახან მკითხველის სამსჯავროზე ახალი ისტორიული რომანი „თამარ ივერიელი“ გამოიტანა. იგი აწ გარდაცვლილი ცნობილი პოეტისა და პროზაიკოსის ამირან ხაბაზის კალამს ეკუთვნის და მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ დის - მედეა ხაბაზის ძალისხმევით იხილა დღის სინათლე

ამირან ხაბაზის შემოქმედება ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა მშობლიური კუთხის მკითხველში, თუმცა მისი ხმამაღალი პოეზია გასცდა აჭარას და სრულიად საქართველომ გაიცნო.

პოეტის პირველი წიგნის „შვიდფერის“ (1979 წ.) გამოსვლისთანავე ცხადი გახდა, რომ მდიდარ ქართულ პოეზიაში საკუთარი ხმისა და სათქმელის მქონე შემოქმედი მოვიდა. კრებულებით „ჩურჩული“, „მიწიდან ცისკენ“, „ლექსის ფარდაგი“, „სულ საქართველო მეძახდა“, „ავტოპორტრეტი ფორთოხლებით“, „ლექსის ქვეყანა“, „ღმერთით, საქართველოვ, ღმერთით“, „ვაზი - ავაზა“ მან, უდავოდ, შემატა საკუთარი ფერი ქართულ პოეზიას, რაც, მოგეხსენებათ, მხოლოდ თავისთავადი ნიჭის, სულიერი სიღრმისა და ნათელი გულგონების მქონე ადამიანს ხელეწიფება.

საინტერესოა პოეტისეული შეფასება, პოეზიაში მისი მოსვლისა და დამკვიდრების მიზეზთა შესახებ: „პოეზიაში, უდავოდ, გენმა მიბიძგა. როცა ბერლინის ტრაქტატით აჭარა საქართველოს დაუბრუნდა, თბილისში დადგა საკითხი აჭარაში გადარჩენილი ქართული ლექსის თუ სხვა სულიერ საგანძურთა მოძიებისა და აი, ჩვენი დიდი მეისტორიე ზაქარია ჭიჭინაძე ჩემი დიდი პაპის ოჯახშიც ჩაიმუხლებს. ესაა 1880 წელი. მას აქედან ხუსეინ ხაბაზი-ქავჯარაძის ლექსებიც წაუღია და ცალკე წიგნად გამოუცია 1900 წელს“.

სხვათა შორის, ამ წიგნს ქართველი მწერლებიც გამოეხმაურნენ, ზოგიერთი ლექსი სულმნათმა ილიამ თავის „ივერიაშიც“ გადაბეჭდა.

ამირან ხაბაზის ახალი წიგნი, რა თქმა უნდა, ერთადერთი არაა ისტორიული თემატიკის თვალსაზრისით - მისი ავტორობით გამოცემულია ვრცელი ისტორიული სიუჟეტის პოემები: „პეტრას დაცემა“, „გოდერძი“, „ზეფერვან კონდიდელი“, „ქვათ იის წყარო“. არანაკლებ საინტერესოა ბალადები: „თუთა გონიოს გალავანში“ და „მუხა-ესტატე“. მნიშვნელოვანია, რომ ამ პოემებსა და ბალადებში არაერთი ისტორიული თემა პირველად გაჟღერდა.

ამირან ხაბაზის ნოველების წიგნი „ჯიშის სიმღერა“, მართლაც, მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული მხატვრული ლიტერატურისათვის. ეს ნოველები პოეტურობით, ხასიათების, დიალოგების ოსტატობით გამოირჩევა.

რაც შეეხება წიგნს, რომელზეც დღეს ვსაუბრობთ, მწერალმა ოსტატობის პიკზე, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე დაწერა და იგი ერთადერთი ისტორიული რომანია მის შემოქმედებაში. „თამარ ივერიელი“ ამაღელვებელი მითია შოთა რუსთაველის შესახებ. რომანის მნიშვნელობას აორმაგებს ის გარემოება, რომ ამ თემას - თამარ მეფისადმი გენიალური შოთას სიყვარულს დღემდე სხვა ვერავინ შეეჭიდა.

„რომანი გაჯერებულია ჩვენი ერის ისტორიის ცოდნით და კალმოსნის ნიჭიერებით. უნიჭიერესი ამირან ხაბაზის კალამს ელოდა ეს ურთულესი თემა და ბურუსით მოცული ისტორია, რომელსაც ზეციური ნებაც სჭირდებოდა... მასში ასახულია ჩვენი სასიქადულო მეფე თამარის ცხოვრება და მოღვაწეობა. აქ გაცოცხლებულია XI-XII საუკუნეების ქართული სახელმწიფოს ყოფა-ცხოვრება, ტრადიციები, უმთავრესი ისტორიული პროცესები. რომანში რომანტიკული სევდის საბურველშია გახვეული თამარ ივერიელის მომხიბვლელი სახე, სახე ბრძენი სახელმწიფო მოღვაწისა, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების განუმეორებელი დედოფლისა, სტრატეგისა, გმირისა...

მწერალი წარსულის აჩრდილებს ისეთი ცოცხალი სახით წარმოგვიდგენს, იფიქრებ - ჩვენ გვერდით სუნთქავენ და მოქმედებენო. აი, ღირსი დედოფლები - ბურდუხანი და რუსუდანი, გამორჩეული დიდგვაროვანი ქალბატონები: ხუაშაქ ცოქალი და კრავაი ჯაყელი. მკითხველის თვალწინ ცოცხლდებიან საუკუნეთა სრბოლაში დღემდე შემორჩენილი ისტორიული სახელები: მეფე გიორგი მესამე, რაჭის ერისთავი კახაბერი, ლიპარიტ ერისთავი, დემნა უფლისწული, ივანე ორბელი (მირიანის ძე), ბექა სურამელი, ზაქარია მხარგრძელი, ბასილი ეზოსმოძღვარი, იოანე მწიგნობართუხუცესი, ჭიაბერ მეჯინიბეთუხუცესი, მიქაელ კათოლიკოსი, ამირსპასალარი ორბელი, ყურთლუ არსლანი და მრავალი სხვა. მაგრამ მწერალი სულ სხვაგვარი შემოქმედებითი წვით გვიხატავს სულიერ პორტრეტს გენიალური შოთა რუსთაველისა. გვიხატავს მისი სიყვარულის ისტორიას - საფუძველთა საფუძველს უკვდავი „ვეფხისტყაოსნისა“.

მწერალი თავისუფლებას ანიჭებს თავის მხატვრულ ფანტაზიას, მაგრამ დაუსაბუთებელ ვერსიას როდი სთავაზობს მკითხველს, ამაში კი ხელს უწყობს ის, რომ პროფესიით იურისტი იყო და იცოდა, სად უნდა დაესვა წერტილი“, - წერს წიგნის შესავალში ამ გამოცემის რედაქტორი, პოეტი ცისანა ანთაძე.

მართლაც, ძალიან საინტერესოა მხატვრულად გაცოცხლებული სახე დიდი თამარ დედოფლისა, რომელიც საკუთარ თავს ადანაშაულებს რუსთაველის ბედუკუღმართობაში. მწერალს დიდი სიფაქიზით და ამავე დროს სისადავით აქვს აღწერილი თამარის განცდები, სადაც ხაზს იმასაც უსვამს, რომ ხანდახან ძლიერნი ამა ქვეყნისანი სრულიად უძლურნი ხდებიან: „შენ, შენ კი უპასუხე იმ დიდ სიყვარულზე? შეიძლება შენი პასუხი მის გზაგზა ხეტიალს და უცხოობაში ღამისტეხვას წამლად დასდებოდა...



მიხვდა, ძლიერების ზენიტზე რა უძლური იყო, დიდი პოეტის ბედზე მოეხდინა გავლენა.

- ალბათ მეც, მეც ვაიძულე იგი, საქართველოდან გადახვეწილიყო...

მთელი თვე აწვალებდა რუსთაველის სახე, ამიტომ ერთიორად ტანჯავდა სასახლის კარზე ხელისმთხოვნელთა სიმრავლე.

ისევ ზეცას შესჩივლა: უბედური ქალი ვარ, ჭრილობაში მარილჩაყრილს ვგავარ, ყველაფერი შემიძლია და მისთვის კი არაფერი გამიკეთებია“.

ამირან ხაბაზის პოეტური სიტყვა დიახაც, მოუხდა ამ თემაზე დაწერილ რომანს, უფრო ამაღელვებელი და სათუთი გახადა მის პერსონაჟთა გრძნობები, უფრო ახლოს მოიტანა მკითხველის გულთან, რომლის ინტერესი ისედაც დიდია იმ სათაყვანებელი პერსონაჟებისადმი, რომლებსაც ამ საკმაოდ ვრცელ ნაწარმოებში ვხვდებით.

ვფიქრობ, ჩვენი მკითხველი დიდხანს არ გააჩერებს დახლებზე ნიჭიერი შემოქმედის ამ განსაკუთრებულ ნამუშევარს, რომელიც სიცოცხლის ბოლო წლებში დაწერა.

მარი მიდასელი